კონკურსი ისტორიაში
HISTORY COMPETITION IN GEORGIA

2021
2022

კონკურსი ისტორიაში

30 წელი საბჭოეთის დასასრულიდან

HISTORY COMPETITION

30 YEARS SINCE THE END OF THE SOVIET RULE

2021
2022

Federal Foreign Office

DVV International

Körber Stiftung

EUSTORY

SOVLAB
SOVIET PAST RESEARCH LABORATORY

Georgian Association of History Educators

CIVIL SOCIETY COOPERATION

CAUCASUS UNIVERSITY

ბროშურაზე მუშაობდნენ: მარიკა კერესელიძე
ლიკა კაკიტაძე
ნანა ციხისთავი
მელიტა ფაჩულია

დაკაბადონება: მაგდა ცოცხალაშვილი

ყდის და პლაკატის დიზაინი: ირაკლი დევდარიანი

რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

მოსწავლეების ესეებში გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები ეკუთვნით ავტორებს და არ გამოხატავს ორგანიზატორთა მოსაზრებას. სტილი დაცულია.

ISBN 978-9941-8-4901-5

სარჩევი
CONTENT

გვ. 5 შესავალი

გვ. 10 INTRODUCTION

2021-2022 წლების ისტორიის კონკურსის საუკეთესო ესეები საქართველოში

THE BEST ESSAYS OF THE 2021-2022 HISTORY COMPETITION IN GEORGIA

გვ. 17 ქეთევან ხიზანიშვილი
KETEVAN KHIZANISHVILI

გვ. 25 ელისაბედ სახოკია, სანდრო ლომაია, ირაკლი ჯანაშია
ELISABED SAKHOKIA, SANDRO LOMAIA, IRAKLI JANASHIA

გვ. 35 ბარბარე ცხადაძე, ლიზი ქართველიშვილი, ირაკლი აბრამაშვილი
BARBARE TSKHADADSE, LIZI KARTVELISHVILI, IRAKLI ABRAMASHVILI

გვ. 41 ნიკოლოზ შარაბიძე
NIKOLOZ SHARABIDZE

გვ. 43 ნინი არჩვაძე, თინათინ ბურდული, გიორგი ახალაური
NINI ARCHVADZE, TINATIN BURDULI, GIORGI AKHALAURI

გვ. 59 ლიანა ავეტისიანი, ალინა პალოიანი
LIANA AVETISYAN, ALINA PALOYAN

შესავალი

ისტორიის კონკურსი მოსწავლეთათვის, რომელიც ალტერნატიული და დაფვარული ისტორიის შესწავლას ეძღვნება და რომელიც უკვე პოპულარული გახდა საქართველოში, მესამედ ჩატარდა კიორბერის ფონდისა და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის – DVV-International-ის ეგიდითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით. პროექტი ერთდროულად ხუთ ქვეყანაში ხორციელდებოდა: უკრაინაში, მოლდოვაში, ბელარუსში, საქართველოსა და სომხეთში. სამწუხაროდ, ბელორუსის მთავრობის გადაწყვეტილებით DVV-International-ის ოფისი ამ ქვეყანაში დაიკეტა. რის გამოც, ბუნებრივია, მათ ვეღარ მიიღეს აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა. პროექტის საერთო თემა გახლდათ – „უარყოფასა და ნოსტალგიას შორის: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორია ოჯახებსა და ადგილობრივ თემებში“, რომლის ფარგლებშიც შეირჩა თემები მასწავლებელთა ტრენინგებისათვის და მოსწავლეთა კონკურსისათვის.

საბჭოთა პერიოდის ისტორია ნაკლებადაა ცნობილი და შესწავლილი თანამედროვე ისტორიკოსების მიერ და ასევე, საშუალო დონეზეა წარმოდგენილი ისტორიის თანამედროვე სახელმძღვანელოებში. პროექტის მიზანი იყო, მოსწავლეები დაეინტერესებინა, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები და ოჯახები საბჭოთა საქართველოში და მისი დანგრევის შემდგომ. ამ კუთხით საინტერესო იყო ადამიანების მეხსიერების კომპონენტის გააქტიურება, მოგონებების შეგროვება და კვლევა მოსწავლეთა მიერ – სად აღმოვჩნდით საბჭოეთის დანგრევიდან 30 წლის შემდეგ, რამდენად დავშორდით და დავძლიეთ თუ არა ტოტალიტარიზმი, როგორ ვუყვებით მომავალ თაობებს ამ გამოცდილებაზე, რა გამოწვევები მოგვყვება დღემდე.

მოსწავლეთა კონკურსის გამოცხადებამდე შეიქმნა კონკურსში ტუტორებად მონაწილე მასწავლებლების კითხვარი და დაეგზავნა როგორც თბილისის, ასევე რეგიონების სკოლებს საქართველოს მასშტაბით. კითხვარი დაიდო ასევე კონკურსისათვის სპეციალურად შექმნილ ფეისბუკ-გვერდზე. სწორედ ამ მექანიზმის მეშვეობით შეირჩნენ დაინტერესებული პედაგოგები და მათთვის 2021 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ჩატარდა სპეციალური ტრენინგები პროექტის პარტნიორების – ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციისა (იმსა) და საბჭოთა წარსულის კვლევის ლა-

ბორატორიის (სოვლაბი) მონაწილეობითა და უშუალო ჩართულობით. ტრენინგების ვიდეო ჩანაწერები და პრეზენტაციები აიტვირთა პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებგვერდზე: https://historycompetitions.ge და ასევე ფეისბუკის გვერდზე, რომელიც 2018 წელს ჯერ კიდევ პირველი კონკურსის ფარგლებში შეიქმნა და რომელსაც დღესდღეობით 1387 გამომწერი ჰყავს: https://www.facebook.com/HistoryCompetitionInGeorgia. გარდა ამისა, პრეზენტაციები და ვიდეო-მასალები ითარგმნა რუსულ ენაზე ეთნიკური ჯგუფებისათვის და ასევე გაზიარდა ფეისბუკ გვერდზე. შეიქმნა ასევე პედაგოგებისათვის დამატებითი რესურსი – რიდერი მეთოდიკაში, რომელიც ასევე ითარგმნა რუსულ ენაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსის ოფიციალური ენა იყო ქართული, თუმცა ნაშრომების გამოგზავნა შესაძლებელი იყო ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

საქართველოში მოსწავლეთა კონკურსისათვის ადგილობრივ თემად შეირჩა „30 წელი საბჭოეთის დასასრულიდან“. კონკურსი ორი ასაკობრივი ჯგუფისათვის ჩატარდა-საბაზო (12-14 წ.) და საშუალო საფეხურის (15-18წ.) მოსწავლეთათვის. ქვეთემად შეირჩა „ადამიანების და თემის მეხსიერება გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოზე“, ხოლო საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ნაშრომები მიძღვნა ქვეთემას: „სკოლა და ცხოვრება“ გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოში“. დაიწერა კონკურსის კონცეფცია, განისაზღვრა მოთხოვნები და კრიტერიუმები მონაწილე მოსწავლეთა ორივე საფეხურისათვის, შეიქმნა ასევე მოსწავლეთა სამახსოვრო ქართულ და რუსულ ენებზე, რათა მათ გაადვილებოდათ საკონკურსო დავალებების შესრულება. შედგა კონკურსის მესვეურთა და ტრენერთა შეხვედრები კონკურსში მონაწილე მოსწავლეთა ჯგუფებთან.

კონკურსი ოფიციალურად გახსნილად გამოცხადდა 2021 წლის დეკემბერში. მოსწავლეთათვის და მასწავლებელთათვის გამზადდა და დაიბეჭდა სპეციალური ტრიპლეტი კონკურსის წესებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. კონკურსის საბოლოო ვადად, ანუ მოსწავლეების მხრიდან ნაშრომების გამოგზავნის თარიღად დასახელდა 2022 წლის 31 მაისი.

შეთანხმება შედგა კავკასიის უნივერსიტეტთან, რის შედეგადაც კავკასიის უნივერსიტეტმა პროექტის პატრონაჟი ითავა.

კონკურსში ჩართულმა მხარეებმა წარმოადგინეს და დაამტკიცეს ჟიურის წევრები: დავით დარჩიაშვილი – პროფესორი (ილიაუნი), ქეთევან

სტურუა – ისტორიის დოქტორი (კავკასიის უნივერსიტეტი), ლელა კაკაშვილი – ისტორიის დოქტორი (განათლების სამინისტროს ქოუჩი), სოფიო ცინცაძე და არჩილ თაბუკაშვილი-ისტორიის დოქტორი (კავკასიის უნივერსიტეტი). ჟიურის წევრებისათვის შეიქმნა სპეციალური კრიტერიუმები და ნაშრომების შეფასების სქემა.

კონკურსში ოფიციალურად შემოვიდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა 34 ნამუშევარი: საბაზო საფეხურიდან 7 – ესე; 2 – ვიდეო-მასალა; 1 ფოტოკოლექცია; 1 – პოსტერი.

საშუალო საფეხურიდან-17 ესე; 2 ვიდეო-მასალა; 3 ფოტოკოლექცია; 2-პოსტერი.

34-ვე ნაშრომი გადაეცა ჟიურის შესაფასებლად. შეფასება ორეტაპიანი იყო და გაგრძელდა 2022 წლის ივნის-ივლისში. ჟიურიმ 5 გამარჯვებული ნაშრომი გამოავლინა:

პირველ ადგილზე მაქსიმალური ქულებით გავიდა ქეთევან ხიზანიშვილის ნაშრომი – მოჯადოებული წრე, ხელმძღვანელი: თამუნა მაჭარაშვილი, ათასწლეულის სკოლა, თბილისი;

მეორე ადგილი გადანაწილდა ორ თანაბარქულიან გამარჯვებულს შორის – ესე „ტოტალიტარული „სიმართლე“ – ჩერნობილის ტრაგედია, ავტორები: ელისაბედ სახოკია, სანდრო ლომაია, ირაკლი ჯანაშია, ხელმძღვანელი: ნათელა დავითაია, წმ. ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიანი. სკოლა-გიმნაზია, სენაკი;

და ესე „მადლობა, ღმერთო, რომ ამას მომასწარ...“, ავტორები: ბარბარე ცხადაძე, ლიზი ქართველიშვილი, ირაკლი აბრამაშვილი, ხელმძღვანელი: ნათელა გოგალაძე, ლესია უკრაინკას სახელობის სურამის #3 საჯარო სკოლა;

მესამე ადგილზე გავიდა ნიკოლოზ შარაბიძის ვიდეო: „ქართული განათლება გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოში“, ხელმძღვანელი: თამუნა მაჭარაშვილი, ათასწლეულის სკოლა, თბილისი;

მეოთხე ადგილზე გავიდა ესე: „აფხაზეთის ომის გმირები და ანტიგმირები“, ავტორები: ნინი არჩვაძე, თინათინ ბურდული, გიორგი ახალაური, ხელმძღვანელი: ეკატერინე უშიკიშვილი, მირზა გელოვანის სახელობის თიანეთის #1 საჯარო სკოლა.

კავკასიის უნივერსიტეტისა და იმსას სიმპათიის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ასევე ესე „ეჰ, როგორ მინდა წარსულის მეშვეობით აწმ-

ყოში დაბრუნება“, ავტორები: ლიანა ავეტისიანი, ალინა პალოიანი, ხელმძღვანელი; ერანიაკ მარქარიანი, ახალქალაქის #1 საჯარო სკოლა.

ისტორიის კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოება კავკასიის უნივერსიტეტის მხარდაჭერით 2022 წლის 23 ივლისს ჩატარდა.

2022 წლის 3-დან 6 აგვისტოს ჩათვლით საქართველოში, ქალაქ თელავის მახლობლად, სოფელ იყალთოში ისტორიის მასწავლებელთა საერთაშორისო საზაფხულო აკადემია გაიმართა.

თითოეულმა მონაწილე ქვეყანამ – საქართველომ, სომხეთმა და მოლდოვამ (სამწუხაროდ, უკრაინა გამოგვაკლდა მიმდინარე ომის გამო) საზაფხულო აკადემიაში მონაწილეობის მისაღებად წარადგინა ისტორიის ექვსი მასწავლებელი – მათი უმეტესობა იყო ისტორიის კონკურსი 3.0 -ის გამარჯვებული ან მონაწილე მოსწავლის ხელმძღვანელი. თითოეულ დელეგაციას თან ახლდა DVV International-ის შესაბამისი ოფისის წარმომადგენელი.

ამ აკადემიის მთავარი მიზანი იყო მეზობელი ქვეყნებიდან ისტორიის მასწავლებლების სტიმულირება ახალი შესაძლებლობების, იდეების, ერთობლივი წინადადებების შესამუშავებლად, რაც მომავალ პროექტებში შემდგომი თანამშრომლობის, სკოლების თანამშრომლობა-მეგობრობის ან ისტორიის სწავლების ორიგინალური და ალტერნატიული პროგრამების შექმნის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორები და ტრენერები სკოლის მასწავლებლების აკადემიურ სფეროსთან დასაკავშირებლად. მონაწილე მხარეებმა დაადასტურეს, რომ მომავალში ამ პროექტის გახანგრძლივება სასურველი და ნაყოფიერი იქნება, თუ ამ კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის (და შესაძლოა სხვა სპეციალობების) სტუდენტები.

აკადემიის აქტივობების დასასრულს ყველა მონაწილემ შენიშნა, რომ სამივე ქვეყანაში ისტორიის სწავლებისა და ოფიციალური დაწესებულებებისა და განათლების სამინისტროების მხრიდან მსგავსი პრობლემებია. მასწავლებლებს ჰქონდათ მოტივაცია, გაეგრძელებინათ თავიანთი წვლილის შეტანა და სხვა პროექტებზე ემუშავათ თავიანთ მოსწავლეებთან ერთად, რომლებმაც ამ კონკურსში კვლევის ჩატარების გარკვეული გამოცდილება მიიღეს. ეს ამ კონკურსის, მართლაც, საგულისხმო შედეგი იყო.

2022 წლის სექტემბერში და ნოემბერში გაიმართა დამატებითი ტრენინგები პროექტში მონაწილე მასწავლებლებისათვის. აღსანიშნავია, რომ ზაფხულის სკოლას თავისი ლოგიკური გაგრძელებაც მოჰყვა. იმსა-ს წევრი ახალქალაქიდან, ისტორიის პედაგოგი, ერანიაკ მარქარიანი, დაინტერესდა საბჭოთა პერიოდის მეხსიერების თემით და თსუ-ს პროფესორ ნინო ჩიქოვანის ზედამხედველობითა და კონსულტაციით დაიწყო ახალქალაქის სომხური მოსახლეობის საბჭოთა მეხსიერებაზე მუშაობა.

პროექტის ეს ფაზაც საინტერესო და აქტუალური გამოდგა. იმედია, მომავალში კონკურსი შინაარსობრივად კიდევ უფრო დატვირთული და მრავალკომპონენტიანი იქნება.

2022 წლის 25-28 ოქტომბერს ერევანში ჩატარდა ისტორიის ბანაკი ისტორიის კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეებისთვის. საქართველოს დელეგაციამ უარი თქვა მასში მონაწილეობაზე სომხეთ-აზერბაიჯანს შორის სამხედრო დაპირისპირების მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. ამის ნაცვლად, 2022 წლის 29 და 30 ოქტომბერს ექსკურსიები კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლებისთვის ჩატარდა თბილისსა და გორში. მასში მონაწილეობა მიიღო 12 მოსწავლემ და 3 მასწავლებელმა თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მათ მოინახულეს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, სტალინის სახლმუზეუმი, უფლისციხე და მონაწილეობა მიიღეს თბილისის ტურში "წითელი ტერორის ტოპოგრაფია".

INTRODUCTION

The history competition for school students, dedicated to the study of alternative and hidden history, which has already become popular in Georgia, was held for the third time under the auspices of the Körber Foundation and the Institute for International Cooperation of the German Adult Education Association – DVV-International, funded by the German Federal Foreign Office. The project was implemented simultaneously in five countries: Ukraine, Moldova, Belarus, Georgia, and Armenia. Unfortunately, by the decision of the Belarusian government, the DVV International office was closed in the country. Naturally, it was a reason they could not participate in the project mentioned above. The project's general topic was "Between rejection and nostalgia: Soviet and post-Soviet history in families and local communities", within which topics were selected for teacher training and student competition.

The history of the Soviet period is little known and researched by contemporary historians and is also presented at an average level even in modern history textbooks. The aim of the project was to awaken students' interest in how people and families were living during Soviet Georgia and after its collapse. In this regard, it was interesting to activate the component of people's memory, having school students collect and explore memories – where did we find ourselves 30 years after the collapse of the Soviet Union, how far did we separate and did we overcome totalitarianism, how do we tell future generations about this experience, what challenges follow us to this day.

Prior to the announcement of the student competition, a questionnaire for teachers participating in the competition as tutors was created and sent to both Tbilisi and regional schools throughout Georgia. The questionnaire was also posted on the Facebook page of the competition. Through this mechanism, the interested teachers were selected and special trainings were held for them in October-December 2021 with the direct involvement of the project partners – Georgian Association of History Educators (GAHE) and Soviet Past Research Laboratory (SovLab). Video recordings and pre-

sentations of the trainings were uploaded to the website created within the framework of the project: https://historycompetitions.ge, as well as to the Facebook page which was created in 2018 as part of the first competition and currently has 1387 subscribers: https://www.facebook.com/HistoryCompetitionInGeorgia. Besides, presentations and video materials were translated into Russian for ethnic groups. An additional resource for teachers was also created – a reader in methodology, which was also translated into Russian. It should be noted here that the official language of the competition was Georgian, although entries could also be sent in Armenian, Azerbaijani, and Russian languages.

"30 years since the end of the Soviet Union" was chosen as the local theme for the competition of students in Georgia. The competition was held for two age groups - elementary (12-14 years old) and middle school (15-18 years old) students. "Memory of People and Communities in Late Soviet and Transitional Georgia" was selected as a sub-theme, and the entries of elementary level students were dedicated to the sub-topic: "School and Life" in Late Soviet and Transitional Georgia."

The competition was officially opened in December 2021. The deadline for the competition has been set as May 31, 2022, by which the students had to submit their work.

An agreement was made with the Caucasus University, as a result of which the Caucasus University assumed the patronage of the project.

34 entries of elementary and middle school students were officially registered in the competition: 7 essays from elementary school; 2 video materials; 1 photo collection; 1 poster;

17 essays from the middle school level; 2 video materials; 3 photo collections; 2 posters.

All 34 entries were submitted to the jury for evaluation. The assessment was two-stage and continued until June-July 2022. The jury selected 5 winners:

Ketevan Khizanishvili's essay "Vicious circle" won first place with maximum points. Teacher: Tamuna Macharashvili, Millennium School, Tbilisi. The second place was divided between two winners with equal points – the essay "Totalitarian "truth" – Chornobyl tragedy, authors: Elisabeth Sakhokia,

Sandro Lomaia, Irakli Janashia; teacher: Natela Davitaia, St. Alexi Shushania School-gymnasium, Senaki;

and the essay "Thank you, God, for letting me witness this...", authors: Barbare Tskhadadze, Lizi Kartvelishvili, Irakli Abramashvili; teacher: Natela Gogaladze, Lesia Ukrainka Public School #3, Surami;

Nikoloz Sharabidze's video: "Georgian Education in Late Soviet and Transitional Georgia", won 3rd place. Teacher: Tamuna Macharashvili, Millennium School Tbilisi.

The essay: "Heroes and anti-heroes of the War in Abkhazia", authors: Nini Archvadze, Tinatin Burduli, Giorgi Akhalauri; tecaher: Ekaterine Ushikishvili, Tianeti #1 Public School named after Mirza Gelovani, took the fourth place.

The essay "Oh, how I want to return to the present through the past" was also awarded special prize of sympathy from the Caucasus University and GAHE. Authors: Liana Avetisyan, Alina Paloyan; teacher: Eraniak Makaryan, Akhalkalaki #1 public school.

The award ceremony of the winners of the history competition was held on July 23, 2022, with the support of the Caucasus University.

The International Summer Academy 2022 for History Teachers was held in the village of Ikalto near the town of Telavi, Georgia, from August 3-6, 2022. The main goal of this academy was to stimulate history teachers from neighbouring countries to develop new opportunities, ideas, and joint proposals, which can become a prerequisite for further cooperation in future projects, cooperation-friendship of schools, or the creation of original and alternative programmes for teaching history.

University professors and trainers were invited to the event to connect school teachers with the academic field. The participating parties confirmed that the continuation of this project in the future would be desirable and fruitful if students of the Faculty of History (and possibly other specialties) of the university participate in this competition.

At the end of the Academy's activities, all participants noticed that there are similar problems in history teaching in all three countries. The teachers were motivated to continue their contribution and work on other projects

with their students who gained some research experience in this competition. This was a significant result of this competition.

In September and November 2022, additional trainings were held for teachers participating in the project. It should be noted that summer school had its logical continuation. GAHE member from Akhalkalaki, history teacher Eranui Makaryan became interested in the topic of memory of the Soviet period, and she started working on the Soviet memory of the Armenian population of Akhalkalaki under the supervision and consultation of Tbilisi State University (TSU) professor Nino Chikovani.

This phase of the project proved to be also interesting and relevant. We hope that the competition will become even more extensive and multi-layered in the future.

On October 25-28, 2022, a history camp was held in Yerevan for students who won the History Competition. The Georgian delegation refused to participate in it in order to avoid the imminent threat of military conflict between Armenia and Azerbaijan. Instead, excursions for the winners and their teachers were held in Tbilisi and Gori on October 29 and 30, 2022. 12 students and 3 teachers from Tbilisi and different regions of Georgia participated in it. They visited the Museum of Soviet Occupation, Stalin's House Museum, cave town Uplistsikhe and took part in the tour of Tbilisi "Topography of Red Terror" tour of Tbilisi.

HISTORY COMPETITION

2021-2022 წლების ისტორიის კონკურსის საუკეთესო ესეები საქართველოში

THE BEST ESSAYS OF THE 2021-2022 HISTORY COMPETITION IN GEORGIA

I PLACE

KETEVAN KHIZANISHVILI

Teacher: Tamuna Macharashvili
Tbilisi, Millennium School

The essay evaluated by the jury with maximum points tells the story of a man who despite internal opposition somehow "followed" the Soviet regime and worked as a Soviet school principal for ten years. He is the grandfather of the author of the essay, 14-year-old Ketevan Khizanishvili, who honestly tells his offspring what moral pressure and serious challenges he went through and how he failed to fight the vices of the Soviet school. These completely unacceptable, unjustified actions were so entrenched in society back then that fighting them required the greatest effort, especially, if you were in a leadership position. A vicious circle was very difficult to break because as grandfather says, the greatest hardship among a thousand ones was the hardship of dignity.

A long conversation begins with the episode when he as a little child felt the cynicism of the Soviet system and protested the humiliation, although, "over time, my grandfather also became a victim of the same tradition which he fought with all his passion. That young boy who talked to children about high ideals and made them think about life became a part of that structure," – the author notes with heartbreak.

At the end of the story, grandfather admits his mistakes: "I think it was more difficult and tragic to confess to my granddaughter that I was a thief."

I ადგილი

ქეთევან ხიზანიშვილი

მასწავლებელი: თამუნა მაჭარაშვილი
ათასწლეულის სკოლა, თბილისი

მოჯადოებული წრე

„ერთხელ, მეექვსე კლასში, შემოდიან დირექტორი და პიონერთხელმძღვანელი და ბავშვებს ეკითხებიან:

– როგორი ბავშვია თქვენი კლასელი რომეო ხვლეური?

– კარგი!

– ხომ ღირსია, რომ ვაჩუქოთ ფორმის ტანსაცმელი?

– დიახ!

სკოლაში გაჭირვებული ოჯახები რეგისტრირებული იყო, მათ შორის, ჩემი ოჯახიც. ჰოდა, დააგორგალეს ეს ტანსაცმელი – კიტელი, შარვალი, ქუდი, ქამარი – ყველაფერი რუხი, როგორც სამხედრო ფორმა და ამომიდეს იღლიაში, – წადი, დედა გაახარეო. ეს იყო ყველაზე დიდი ტკივილი ჩემს ცხოვრებაში და დღემდე ასეა... რა არ გადამხდენია თავს – ძმა გარდამეცვალა, ძმისშვილიც, მაგრამ ყველაზე დიდი ტკივილი ღირსებისა იყო – აი, ის, როდესაც ბავშვების თვალწინ ტანსაცმელი მაჩუქეს. წამოვიღე ის ტანსაცმელი და ხევში გადავყარე, არ ჩავიცვი.

...აი, ასეთი იყო ჩემი სკოლა, ყველაზე დიდი სხვა სკოლებთან შედარებით, რომლის დირექტორიც თავად ვიყავი შემდგომში 37 წელი. ჰუმანიტარული დახმარება ჩემი ხელმძღვანელობის დროსაც გრძელდებოდა, მაგრამ როდესაც რაღაც მოდიოდა, ყველაფერს მანქანაში ვდებდი და სახლში მიმქონდა ბავშვებთან. არასოდეს სკოლაში მოსწავლისთვის არ მიგრძნობინებია, რომ მას უჭირდა, რადგან ვთვლიდი, რომ ყველა გაჭირვებაზე დიდი ღირსების გაჭირვებაა,“ – ამბობს პაპაჩემი – კაცი, რომელმაც თითქმის მთელი ცხოვრება განათლებას მიუძღვნა, სამოცდაცხრაწლიანი ცხოვრებიდან უკვე 45 წელია ამ სფეროშია. იგი საბჭოთა განათლების სისტემის ნაწილი იყო ჯერ როგორც მოსწავლე, შემდეგ კი როგორც მასწავლებელი. განათლების სფეროში, რომელიც ძალიან უყვარს და რომლის

მიმართაც დღემდე უდიდესი ენთუზიაზმითაა განწყობილი, სრულიად შემთხვევით მოხვდა – თითქოს ბედისწერამ უბიძგა. ბავშვობიდან მესმის ზოგი სასაცილო, ზოგიც კი მეტად სევდიანი ისტორიები მისი მოგონებებიდან.

1970 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე პრესტიჟულ, ისტორიის ფაკულტეტზე მოხვედრას 1154 აბიტურიენტი ცდილობდა, მაგრამ მათგან მხოლოდ 25 ჩაირიცხა – მათ შორის პაპაჩემი, რომელმაც მარტოხელა დედის მიერ სიღარიბეში აღზრდის მიუხედავად, მაინც მიაღწია ამ მიზანს. გამორჩეული სტუდენტი იყო, ფრიადოსანი. მეხუთე კურსზე ცოდნა ჭკვიანურად გამოიყენა და საინტერესო, მომგებიან ბიზნესში ჩაერთო. ეს შემთხვევა ლაკონიურად, მაგრამ იდეალურად აღწერს საბჭოთა განათლების რეალობას – პარტიულ მუშაკებს, რომლებიც დაუსწრებლად სწავლობდნენ უნივერსიტეტში, ფულის სანაცვლოდ სადიპლომო ნაშრომებს უწერდა. საბოლოოდ, განათლებისა თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს სწორედ ის ხალხი წყვეტდა, ვისი სადიპლომო ნაშრომების წერაშიც აღამებდა პაპაჩემი საჯარო ბიბლიოთეკაში. „მე რომ უნივერსიტეტი დავამთავრე, აღმოჩნდა, რომ მათი გადასაწყვეტი იყო, სად წავიდოდი, სად მოვეწყობოდი სამუშაოდ, ამიტომ ვერსადაც ვერ წავედი და დავჯექი თელავის მოედანზე – მეგობრებთან ერთად ვსაუბრობდი, ხალხს თვალს ვაყოლებდი... მაშინ მეგონა, რომ ძალიან საინტერესოდ და მარტივად ვცხოვრობდი.“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტს წერილი გაუგზავნეს, სადაც უხსნიდნენ, რომ პაპაჩემი მათ ძალიან წაადგებოდა და მისი მონაცემები უნდა გამოეყენებინათ. ამ წერილისთვის ინსტიტუტს დიდი ყურადღება ნამდვილად არ მიუქცევია, რადგან ერთ დღეს თელავის რაიკომმა პაპაჩემი სამოქალაქო თავდაცვის სკოლაში გააგზავნა – ისტორიკოს კაცს სტუდენტებისთვის აირწინაღების გაკეთება უნდა ესწავლებინა. ამ მოწყობილობისა მას არაფერი გაეგებოდა და ერთ დღესაც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, გაკვეთილზე არასასიამოვნო შემთხვევა მოხდა – ერთ-ერთმა სტუდენტმა აირწინაღი არასწორად გაიკეთა და უჰაერობისგან გონება დაკარგა, რის შემდეგაც პაპაჩემი თელავიდან დაახლოებით 35 კილომეტრის მოშორებით, სოფელში გააგზავნეს ისტორიის მასწავლებლად.

პაპა თავდაპირველად იძულებით მუშაობდა და მასწავლებლობის განწყობა საერთოდ არ ჰქონდა. გაკვეთილებისთვის არ ემზადებოდა, მხოლოდ წიგნის მიხედვით ასწავლიდა ბავშვებს და საკმაოდ უხეშადაც

ეპყრობოდა: „ყოველ დილით 6 საათზე ვდგებოდი, ჩავდიოდი ქალაქიდან სოფელში, რომ მელაპარაკა თემებზე, რომლებზეც საუბარი არ მინდოდა. ერთი სიტყვით, არ მინდოდა მუშაობა, არ მინდოდა ეს საქმე, სხვა მოლოდინები და სურვილები მქონდა ცხოვრებისგან, რა უნდა მექნა? მაგრამ ბავშვები მამართლებდნენ, ესმოდათ ჩემი."

საბჭოთა განათლების მთავარი მახასიათებელი და ყველაზე დიდი ნაკლი აზროვნების თავისუფლების არარსებობა იყო. ყველაფერი წინასწარ იყო გაწერილი: როგორ უნდა გეფიქრა, გეაზროვნა, გემოქმედა, გეწერა, გელაპარაკა. მოსწავლეებს პირველი დღიდანვე უნერგავდნენ საბჭოთა ადამიანის მენტალიტეტს და მათ პიროვნებას ერთგვარ ჩარჩოში სვამდნენ – „შენ იყავი კომუნისტი ბავშვი! ჯერ უნდა გამხდარიყავი ოქტომბრელი, შემდეგ პიონერი, კომკავშირელი, პარტიის წევრი..." ამ გაწერილ გზას თუ ცოტათი მაინც გადაუხვევდი, შეცდომად ითვლებოდა.

გავიდა დრო და პაპა მოსწავლეებთან ძალიან დაახლოვდა, მათი სახით მეგობრები გაიჩინა და მეცხრე კლასის ხელმძღვანელადაც დანიშნეს. მან ბავშვებს აკრძალული ხილის გემო გაასინჯა... ცდილობდა, ისეთ საკითხებზე დაეფიქრებინა ისინი, რაზეც არავინ ფიქრობდა, ან თუ ფიქრობდა, შეკითხვებს ხმამაღლა არ სვამდა: „სხვანაირად ვფიქრობდით, რადგან ჩვენი აზროვნება ჭამაზე და ყოფაზე არ გადიოდა. ჩვენი სასაუბრო თემები იმ დროისთვის აკრძალულ საკითხებს შეეხებოდა – ქვეყანა, სამშობლო, მომავალი. მარტივ შეკითხვებს ვუსვამდი მოსწავლეებს – აბა, მითხარი, რა გიჭირს, რატომ გინდა, რომ ისწავლო, განვითარდე? თავიდან დაიწყეს, მეზობლის გოგიას რომ ბევრი ნაკვეთი აქვს, მე უფრო მეტი მინდაო. დროთა განმავლობაში ჩვენი საუბრები უფრო ფართო თემებს შეეხებოდა და ბავშვების მსოფლმხედველობაც ნელ-ნელა იცვლებოდა...

„განათლებაში მუხრუჭები არ შეიძლება. საშუალება უნდა ჰქონდეს ყველა სკოლას, რომ თავისი შეხედულებით იმუშაოს; ასევე, მშობელი თვითონ უნდა წყვეტდეს, შვილი რომელ სკოლაში მიიყვანოს, ხოლო სკოლას საკუთარი სტრატეგია უნდა ჰქონდეს აუცილებლად," – ამბობს პაპაჩემი. ის აკრიტიკებს იმ დამანგრეველ სისტემას, რომლის სამსახურშიც მრავალი წელი გაატარა და რომელიც მთავარი ბიძგი და მოტივაცია გახდა მისი შემდგომი ნაბიჯებისა. მან 2016 წელს შეექმნა საკუთარი სკოლა, რომელიც წარსულში ჩახშობილი შეხედულებებისა და მიდგომების წმინდა მანიფესტაცია იყო.

პაპაჩემი ისტორიასთან ერთად სამართალსაც ასწავლიდა. მისი შრომის ამბავმა თელავის რაიკომამდე მიაღწია და კახეთის ერთ-ერთ სოფელში სასწავლებლის დაარსებაც კი დაავალეს. მისი საქმითა და შრომისმოყვარეობით კიდევ ერთხელ გაოცებულმა პარტიულმა მუშაკებმა ახლა უკვე რაიონის განათლების განყოფილების გამგედ დანიშნეს და ჯამში, 72 საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა ევალებოდა. მათთვის, ვინც დღის განმავლობაში მუშაობდა ან სხვა რამით იყო დაკავებული, ღამის სკოლები არსებობდა, რომელთა ხელმძღვანელობაც, ასევე, პაპას ევალებოდა.

შემდგომ იგი რაიონის ყველაზე დიდი სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. ამ პოზიციაზე 14 წელი იმუშავა. სწავლა ცხრის ნახევრის მაგივრად, ცხრა საათზე იწყებოდა და თვითონ ყოველ დილით შვიდის ნახევარზე იყო სკოლაში. თითოეულ კლასში შედიოდა და ამოწმებდა, რომ ყველაფერი მოწესრიგებული ყოფილიყო. ზუსტად 8 საათზე, როცა მოსწავლეები და მასწავლებლები თანდათან მოსვლას იწყებდნენ, გამოდიოდა და შესასვლელის კიბეებზე დგებოდა: – „მთელი თელავი მიყურებდა, როგორ ვიდექი მარტო.“

იმის მოლოდინით, რომ დირექტორი კიბეებზე იცდიდა, დაგვიანებას ყველა ერიდებოდა. მასწავლებლები ცდილობდნენ, ადრე მოსულიყვნენ და დირექტორისთვის თავიანთი პუნქტუალურობა ეჩვენებინათ: „ჯარის დისციპლინა მე არ მიყვარს, რა თქმა უნდა, მაგრამ სასწავლო პროცესისთვის დისციპლინა საჭიროა.“

ზამთარში, თოვლში, პირველ-მეორე კლასელები დაგვიანებით რომ მიდიოდნენ, პაპაჩემი კვლავ კიბეზე იდგა და უკან აბრუნებდა, არ უშვებდა. ამ საქციელის შესახებ პარტიაშიც გაიგეს და შეხვედრაზე დაიბარეს: „თქვენობით არ იცოდა უფროსობამ ლაპარაკი, თუ სტატუსით მათზე დაბლა იდექი. დამიბარეს და მეუბნებიან, ბიჭო, შენ, რა არის, ეს დირექტორობა თავში ხომ არ აგივარდა, ბავშვებს რომ ყინვაში ტოვებ და მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასელ მუტრუკებს შიგნით უშვებო? მეც ვუთხარი, მათგან აწი უკვე აღარაფერი გამოვა და იმის მადლობელი უნდა ვიყო, რომ საერთოდ მოვიდა, თუნდაც დაგვიანებით. ხოლო, აი, ეს პატარა, თუ არ დავაჩვიე, რომ დროზე მოვიდეს, ისიც იმ მეთერთმეტე კლასელისნაირი გაიზრდება-მეთქი.“

ყველა მიიჩნევდა, რომ პაპაჩემს ძალიან უცნაური ხედვები ჰქონდა: „ვეუბნებოდი მასწავლებლებს, ხალხო, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რომ დღეს ბავშვმა ქიმიის გაკვეთილი არ იცის. მთავარია, იყოს აქტიური. ქიმია არ იცის? მაგრამ რაღაც ხომ აინტერესებს?“

უმცროსკლასელებს მასწავლებელი მერხებზე თვითონ ანაწილებდა, იმის მიხედვით, ვის მშობელს ვისთან უნდოდა თავისი შვილის დასმა. წინა მერხზე ნაცნობების შვილებს დასვამდნენ, უკან კი დანარჩენებს. შევიდოდა ბაბუაჩემი კლასებში, ბავშვებს ეტყოდა, ვისთანაც გინდათ, იმასთან დასხედითო და აღმოჩნდებოდა, რომ ბავშვების სურვილები სულ სხვაგვარი იყო.

მშობლები ბავშვებს დაბადების დღეებს კლასშივე უხდიდნენ. მასწავლებლებისთვის და ბავშვებისთვის სუფრებს ცალ-ცალკე აწყობდნენ. პაპაჩემი ამაზე განსაკუთრებით ბრაზდებოდა და ამ ერთგვარი წეს-ჩვეულების აღმოფხვრას ცდილობდა. ამის შემხედვარე მშობლები, მასწავლებლებისთვის ძღვენს ახლა უკვე სკოლის უკანა კარიდან აპარებდნენ, ჩუმად, თითქოს, საკუთარი სახლ-კარი არავის ჰქონდა და მასწავლებლებისა და 30 ბავშვის გამასპინძლება აუცილებლად შესასრულებელი მოვალეობა იყო. არავინ ითვალისწინებდა იმას, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონდა: „ბავშვებისთის რომ ტორტს ჭრიდნენ, ამის წინააღმდეგი არ ვიყავი, რა თქმა უნდა, მაგრამ მასწავლებლისთვის რომ მოჰქონდათ პურ-მარილი, ამაზე ვღიზიანდებოდიო,“ – ამბობს პაპა.

ახალი წელი და სხვა დღესასწაულები დიდი ზეიმი გახლდათ საბჭოთა სკოლებში და უკვე დამოუკიდებელ საქართველოშიც. მასწავლებლები 31 დეკემბრის ჩათვლით დიდი მონდომებითა და თავდადებით დადიოდნენ სკოლაში. რაღა თქმა უნდა, საახალწლო საჩუქრების მოლოდინში. სკოლის წინ მაღაზია იყო, რომელშიც მშობლები ყიდულობდნენ საჩუქრებს და ურიგებდნენ მასწავლებლებს. ისინი ერთსა და იმავე საჩუქრებს იღებდნენ, შეიძლება, ვინმეს 20 იდენტური საჩუქარიც კი მიეღო. ამიტომ მოაგროვებდნენ და ისევ იგივე მაღაზიაში აბრუნებდნენ, თანხის სანაცვლოდ. პაპა ამ ყველაფერს უპირისპირდებოდა და მისი შიშითა და რიდით მასწავლებლები ამ მავნე ტრადიციებისგან თავის არიდებას ცდილობდნენ.

თუმცა, დროთა განმავლობაში პაპაჩემიც იმავე ტრადიციის მსხვერპლი გახდა, რასაც მთელი მონდომებით ებრძოდა. ის ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ბავშვებს მაღალ იდეალებზე ესაუბრებოდა და ცხოვრებაზე აფიქრებდა, თვითონაც იმ სტრუქტურის ნაწილად იქცა.

საბჭოთა კავშირი იდეალური გარემო იყო კორუფციისა და ნეპოტიზმისთვის. კორუფციისთვის სასათბურე პირობებია ისეთი რეჟიმები, რომელშიც სახელმწიფოს განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს. დაბალია ეკონომიკური განვითარება და კანონის უზენაესობაც არ არის დაცული. ასეთ პოლიტიკურ რეჟიმში სახელმწიფო კორუფციულ სქემებში ჩართვას გაიძულებს. ხელისუფლების უკლებლად ყველა შტოსთან ერთად მოქალაქეების უმრავლესობაც იმავე ცხოვრების გზას ირჩევდა და რაღაცა ფორმით ისიც მონაწილეობდა კორუფციულ გარიგებაში. სამწუხაროდ, გამონაკლისი არც პაპაჩემი და განათლების სფეროს სხვა წარმომადგენლები იყვნენ: „ვიღაცა რაღაცას მთხოვდა – მეგობრები, ახლობლები... მოუტანიათ რაღაცები და ამიღია. მოგატყუო რომ პაპაშენი წმინდა იყო? არა, რანაირად ვიყავი წმინდა, როდესაც ახალი წლის დღეებში გოჭებსა და ინდაურებს ვეღარ ავუდიოდი?! ეს იყო რაღაც მოჯადოებული წრე... ესე იგი, ვინ ვიყავი მე? ალბათ, მოხდა ჩემი ასეთ დონეზე დასვლა, რომ ვიღაცებისგან ინდაურებსა და გოჭებს ვიღებდი. ეს ცხოვრებამ თვითონ მოიტანა, ვერ გადავახტი იმ ინდაურსა და გოჭს...“

„ერთ შემთხვევას მოგიყვები, რომელიც მართლა გადამხდა თავს: პაპაშენი ალიკა, ბებოს მამა, აღმასკომის თავჯდომარე იყო. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, სამსახურის სათხოვნელად მივედი, ჯერ მისი სიძე არ ვიყავი. სადა გვაქვს სამსახურებიო? – გაიკვირვა. გავიდა ხანი და დავიწყე ბებოსთან ურთიერთობა. აწ უკვე სიმამრს რომ შევხვდი, მისაყვედურა, რატომ არ მოხვედი, სამსახური თუ გინდოდა, რატომ არ მითხარიო.“

მნიშვნელოვან პოზიციებზე ხელფასი მიზერული იყო, ხოლო სამინისტროს მაღალჩინოსნები თანამშრომლებისგან ყოველ დღესასწაულზე ძღვენს ელოდნენ და ამ ყველაფრისთვის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო. თუ ოჯახის რჩენა და შვილების გაზრდა გინდოდა, სურვილის წინააღმდეგ გიწევდა მსგავს კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობა, რადგან ეს გადარჩენის გზა იყო. ამ დღესასწაულებზე მიღებული ძღვენის უდიდესი ნაწილი განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნებთან მიდიოდა, ხოლო, მათთან დაგროვილი ძღვენის დიდი ნაწილი პარტიის მაღალჩინოსნებთან და ა.შ. ეს იყო კარგად აწყობილი და გამართული კორუფციული ვერტიკალი. საბჭოთა სტრუქტურა ხალხში იწვევდა ყოფით დეგრადირებას, საწყისი პრინციპების უგულებელყოფას აიძულებდა და ამორალური ქმედებებისკენ უბიძგებდა მათ.

განათლების სისტემაში კორუფციასა და ნეპოტიზმს ისე ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული, რომ უმეტესობა მთლიან აკადემიურ გზას ამ მეთოდებით გადიოდა, განათლებას კი ფასი ეკარგებოდა. ეს მოტივაციას უკარგავდა შრომისმოყვარე და ნიჭიერ ადამიანებს, რადგან ხედავდნენ, რომ შეძლებული ოჯახების შვილები ამ ყველაფერს უშრომლად იღებდნენ და „წარმატებული“ კარიერისთვის ყოველთვის ხსნილი ჰქონდათ გზა.

ზემოთ ვთქვით, რომ პაპაჩემისთვის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ტრაგედია ღირსების გაჭირვება – უნიფორმის ჩუქების ეპიზოდი იყო. მე კი ვფიქრობ, რომ ამაზე რთული და ტრაგიკული მისთვის შვილიშვილთან ამ გახრწნილ კორუფციულ სისტემაში მონაწილეობის აღიარება იყო. „შენ მე მაღიარებინე, რომ ქურდი ვიყავი...“ – სინანულით მითხრა მან ჩვენი საუბრის ბოლოს.

II PLACE

ELIZABETH SAKHOKIA, SANDRO LOMAIA, IRAKLI JANASHIA

Teacher: Natela Davitaia

The Saint Alexi Shushania Senaki Orthodox Grammar School

The second place was shared by two essays that both depict the harsh existence of the Soviet Union and emotionally convey the injustice of the era, totalitarianism, the neglect of the people and the victimisation by the regime... Both essays deal with inspiring real-life stories with precise accents, and the jury rightly awarded them as one of the best.

The essay “Totalitarian “truth” – the tragedy of Chornobyl” is by Elizabeth Sakhokia, Sandro Lomaia, and Irakli Janashia from the Saint Alexi Shushania Senaki Orthodox Grammar School and supervised by teacher Natela Davitaia. It is a comprehensive essay detailing the events of Chornobyl, the criminal activities of the nomenklatura of the time, the bureaucracy, state criminality, and the catastrophic consequences that ensued. They did a lot of work and drew the correct conclusions about how the state should function and how it should treat its citizens.

II ადგილი

ელისაბედ სახოკია, სანდრო ლომაია, ირაკლი ჯანაშია

მასწავლებელი: ნათელა დავითაია
წმ. ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია, სენაკი. რუსთაველის 116

ტოტალიტარული „სიმართლე“ – ჩერნობილის ტრაგედია

ტოტალიტარიზმი არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმია, როდესაც ქვეყნის მთავრობა მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ერევა. ამ დროს სახელმწიფო სრულად ბატონობს პიროვნებასა და საზოგადოებაზე და მათ თავისუფლებას არ ცნობს. ტერმინი ტოტალიტარიო იტალიელმა დიქტატორმა ბენიტო მუსოლინიმ გამოიგონა 1920-იანი წლების დასაწყისში, იტალიის ახალი ფაშისტური სახელმწიფოს დასახასიათებლად. ტოტალიტარული სახელმწიფოების მმართველები მოქალაქეების დასამორჩილებლად და ოპოზიციის გასანადგურებლად ძალადობრივ მეთოდებს იყენებდნენ. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ტოტალიტარიზმი აბსოლუტური და მჩაგვრელი ერთპარტიული ხელისუფლების სინონიმი გახდა. იმ მწარე რეალობაში უწევდათ ცხოვრება ჩვენს წინაპრებსაც. საბჭოთა კავშირი ტოტალიტარული სახელმწიფოს ნათელი მაგალითი იყო.

იოსებ ჯუღაშვილმა, ლენინის მემკვიდრემ, საბჭოთა კავშირის მთავრობა მკვეთრად შეცვალა. მას სურდა, რომ საბჭოთა კავშირი მოწინავე ყოფილიყო სხვა ქვეყნებს შორის ყველა დარგში, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად და საამისო გამოსავალი სრულ ტოტალიტარიზმში იპოვა. მან სრული კონტროლი დაამყარა ცხოვრების ყველა ასპექტში – აკონტროლებდა მთავრობას, ეკონომიკას და მოქალაქეთა პირად ცხოვრებასაც კი. მას შემდეგ, რაც სტალინმა ქვეყნის სადავეები ხელში აიღო, რეფორმები წამოიწყო. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საგანმანათლებლო რეფორმა, რომლის მიზანიც იმდროინდელი ახალგაზრდობის მარქსისტული და კომუნისტური პრინციპებით აღზრდა გახლდათ, რაც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის მომავალს. ტოტალიტარიზმი სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში აქცევდა ქვეყნის მოსახლეობას და უმა-

ლავდა სიმართლეს. ამის ნათელი მაგალითია ჩერნობილის ტრაგედია, რომელიც ჯერ დამალეს, ხოლო შემდეგ აბსურდული ინფორმაციები გაავრცელეს მის შესახებ.

ჯანსუღ ღვინჯილია „ქართველი კაცის სინამდვილეში“ წერს: „სხვასაც უთქვამს და მეც მეძალება სათქმელი: მარქსიზმ-ლენინიზმზე დამყარებული სოციალიზმი იყო ღმერთისა და ღმერთის მიერ შექმნილი ყოველგვარი ბუნებრივი წესის წინააღმდეგ მიმართული სისტემა. ის იყო ცრუ თავისი არსით და გზის გასაკაფად, ბუნებრივია, მხოლოდ სიცრუე ჭირდებოდა:

ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში.

ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში სიცრუე!

ახასიათებდა სამყაროს გაჩენას – ცრუობდა!

ლაპარაკობდა საგანთა ბუნებაზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა ფორმაციათა პროცესზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა კაპიტალიზმზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა სოციალიზმზე – ხომ ცრუობდა და ცრუობდა!

ლაპარაკობდა ხალხზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა პიროვნებაზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა რევოლუციაზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა ბურჟუაზიაზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა გლეხზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა მუშაზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა კომუნიზმზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა ხუთწლიანი გეგმის შესრულებაზე – ცრუობდა!

ლაპარაკობდა „საბჭოთა ადამიანების“ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე – ცრუობდა!

არასდროს არ გვაწვდიდა ზუსტ ცნობას.

რამდენი ქარხანა აშენდა – არ ვიცით წესიერად.

როგორი ხარისხით აშენდა – ვიცით! აქებდა – შესანიშნავია!

პროდუქტი – არ ვარგა – საუკეთესოაო, განადიდებდა!

ხალხს შიოდა – მაძღარიაო!

ხალხს არ ეცვა და არ ეხურა – თავზე საყრელად აქვს ყველაფერიო!

ხალხი სიდუხჭირეში ცხოვრობდა – ცხოვრება საამურიაო!

ხალხი სიკვდილის მუქარით შეჰყავდათ კოლექტივში – სიხარულით და ნებით შემოდისო.

შეჰყავდა და შეჰყავდა სიცრუის მორფი ვენაში სისტემას.

„საბჭოთა ხალხი“ სიცრუის ნარკომანია.

ასე ჩამოვყარეთ ათასობით გერმანული თვითმფრინავი ძირს. ასე დავამარცხეთ სასტიკად გერმანიის ფაშიზმი. გერმანიას დაეღუპა ხუთ მილიონზე ცოტა მეტი კაცი, ჩვენ გაგვინადგურეს 20 მილიონი კაცი.

სიცრუით გავიმარჯვეთ, ხალხის, ტექნიკის, სიმდიდრისა და რესურსების გამომეტებით, უანგარიშო შეწირვით.“ – ჯანსუღ ღვინჯილიას ეს მონოლოგი ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს ტოტალიტარული სიცრუის მანქანის მუშაობას.

ახლა კი მოგიყვებით, რა მოხდა სინამდვილეში ჩერნობილში და რა ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას არსებულმა რეჟიმმა.

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური უკრაინის დედაქალაქ კიევიდან დაახლოებით 130 კილომეტრით ჩრდილოეთით მდებარეობს, ბელარუსთან საზღვრის სამხრეთით. ის 1970-1980-იან წლებში დაპროექტებული ოთხი რეაქტორისგან შედგება. იქვეა დაახლოებით 22 კვადრატული კილომეტრის ზომის ხელოვნური რეზერვუარი, რომელსაც მდინარე პრიპიატი ავსებდა და რეაქტორს გაგრილებისთვის საჭირო წყლით ამარაგებდა. ჩერნობილის სადგური ოთხი საბჭოთა ატომური რეაქტორის RBMK-1000 – დიზაინს იყენებდა, რომელიც ამჟამად არსებითი ხარვეზების მქონედაა აღიარებული საყოველთაოდ. ათვეთქება 1986 წლის 26 აპრილს მოხდა. ოპერატორები ელექტროსისტემის შემოწმებას გეგმავდნენ, როდესაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკონტროლო სისტემები გამორთეს და ამით უსაფრთხოების რეგულაციები დაარღვიეს. ამან რეაქტორის სახიფათოდ არასტაბილური და დაბალი ენერგიის დონე გამოიწვია. ბირთვული ენერგიის სააგენტოს მონაცემებით, მე-4 რეაქტორი წინა დღით გათიშეს, რათა ენერგიის პოტენციური გათიშვის შემთხვევაში უსაფრთხოების სისტემები ტექნიკურად შეემოწმებინათ. გამაგრილებელი წყლის შემცირებამ ჭარბი ორთქლი წარმოქმნა, რის გამოც ორთქლი გამაგრილებელ მილებში შევიდა და რეაქტიულობის დადებითი კოეფიციენტი გაჩნდა. ამან ენერგიის უზარმაზარი მატება გამოიწვია, ოპერატორებმა გათიშვა ვერ შეძლეს და მოხდა საშინელი კატასტროფა. ამ კატასტროფას საბჭოთა კავშირი პირველ დღეებში მალავდა, რამაც ხელი შეუშალა მომხდარზე სწრაფ რეაგირებას და ავარიის ნარჩენები დაუბრკოლებლად გავრცელდა. ამ დროს მოსახლეობაც ინფორმაციულ ვაკუუმში იყო.

ჩვენ გავეცანით გაზეთ „კომუნისტის“ 1986 წლის 4, 14, 17, 19, 24 მაისის ნომრებს, სადაც ვკითხულობთ: „დახმარების მისამართია ჩერნობილი“, „ჩერნობილი: ვაუკაცობისა და ერთობის გაკვეთილი“, „ბირთვული საუკუნის რეალიები გავავლებს“, „საკადრისი პასუხი გავცეთ ანტისაბჭოთა კამპანიას“, „ჩერნობილის გმირები“. ყველა ამ პუბლიკაციაში ჩერნობილის ტრაგედია წარმოდგენილია მცირე და უმნიშვნელო ავარიად, საუბარია მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან გადადგულ ქმედით ნაბიჯებზე და სწრაფ რეაგირებაზე და გაკრიტიკებულია უცხოური მედია, რომელიც, გაზეთ „კომუნისტის“ თქმით, სსრკ-ს მიმართ ანტისოციალისტურ კამპანიას ეწეოდა.

ასევე, საბჭოთა პრესა აქვეყნებდა სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოთქმული შეშფოთების წერილებს, რომელშიც ამ ქვეყნის ლიდერები გმობდნენ ანტისაბჭოურ პროპაგანდას. მაგალითად, 1986 წ. 4 მაისის ნომერში დაიბეჭდა სტატია „საკადრისი პასუხი გავცეთ ანტისაბჭოთა კამპანიას“, რომელშიც ვითომდა პროგრესული პრესა გმობდა დასავლეთის ღვარძლიან პროპაგანდისტულ აურზაურს. მათი თქმით, მხარდაჭერის წერილებს იღებდნენ პრაღიდან, დელიდან, უაგადუგუდან: „პროპაგანდისტულ აურზაურს, რომელსაც დასავლეთში აღვივებენ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით, – ნათქვამია დელიდან გამოგზავნილ წერილში, – იყენებენ საბჭოთა კავშირზე უხეში თავდასხმებისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციისთვის“. ასეთი დასკვნა გამოაქვს ინდოეთის პრესას, რომელიც მკაცრად აკრიტიკებს ავარიის რაიონში შექმნილი ვითარების შესახებ აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნების მიერ გავრცელებულ ცილისმწამებლურ მონაჩმახს. „სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართული მტრული კამპანიის მიზანია, სინამდვილეში დაფაროს რეალური საფრთხე, რომელსაც მსოფლიოს უქმნის კოსმოსის მილიტარიზაციისა და გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდის ვაშინგტონისეული გეგმები“, – ხაზგასმით აღნიშნავს ყოველკვირეული „ნიუ ეიჯი“. „მომახდარი ავარია საბაბი გახდა სსრ კავშირის მიმართ „ფსიქოლოგიური ომის“ გააქტიურების, – წერს გაზეთი „ნიუ უეივი“ და დასძენს, რომ მარტო 1979 წელს აშშ-ს ატომურ ელექტროსადგურებში მოხდა 2300-ზე მეტი სხვადასხვა ავარია, დაზიანება და სხვა ინციდენტები. საზოგადოებრიობას უმალავენ, რომ პენტაგონი მსოფლიო ოკეანეს იყენებს ბირთვული ნარჩენების „სანაგვედ“ და ა.შ.“

ამავე ნომერში დაბეჭდილი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერა-

ლური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხი არგენტინის, ინდოეთის, ტანზანიის, შვეიცარიის, მექსიკის, საბერძნეთის ლიდერთა წერილებზე, რომელშიც გორბაჩოვი მადლობას უხდიდა აღნიშნულ ქვეყნებს სიცრუის „მხილებისთვის", მიმართულს სსრკ-სადმი. იგი, ასევე, საუბრობს ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვაზე, რომელსაც თითქოს აშშ არ ეთანხმება.

აღნიშნულ ნომრებში ავარიის ფაქტები გადმოცემულია მსუბუქად, ხოლო ყურადღება მახვილდება ევროპული ქვეყნებისა და აშშ-ს მტრულ დამოკიდებულებაზე საბჭოეთისადმი.

მსგავსი სიცრუის ტირაჟირება ხდებოდა ტელევიზიითაც. სსრკ-ს პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, მიხეილ გორბაჩოვი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში, რომელიც ტელევიზიით გადაიცა 1986 წლის 14 მაისს, გადაცემაში „ვრემია" საუბრობს ჩერნობილის ტრაგედიაზე და ამ ფაქტის მნიშვნელობის შემსუბუქებას ცდილობს. მიხეილ გორბაჩოვის ,,სიმართლე" ასე გამოიყურება: „ჩვენს ქვეყანას რამდენიმე კვირის წინ თავს დაატყდა უბედურება – ჩერნობილში ატომური სადგურის აფეთქება. ეს მტკივნეულად შეეხო საბჭოთა მოსახლეობას და შეაშფოთა საერთაშორისო საზოგადოება... საბჭოთა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა ჩერნობილში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. დროულად იქნა მობილიზებული სამაშველო ჯგუფები და მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია სიცოცხლისთვის საშიში ზონებიდან. მიუხედავად მიღებული ზომებისა, მაინც ვერ ავირიდეთ უბედურება თავიდან. ავარიის მომენტში გარდაიცვალა ორი ადამიანი, ხოლო 299 ადამიანი ჰოსპიტალიზირებულია და სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს მათი სიცოცხლის გადასარჩენად.

თუმცა შეუძლებელია ყურადღების მიღმა დავტოვოთ საერთაშორისო გამოხმაურება ჩერნობილის ტრაგედიისადმი, თუ როგორ გააშუქეს მედია საშუალებებმა მომხდარი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ნატოს და აშშ-ს მხრიდან გავრცელებული დეზინფორმაციები. მათ წამოიწყეს ანტისაბჭოთა კამპანია. რაზე არ წერდნენ ისინი ამ ხნის განმავლობაში – ათასობით დაღუპულზე, ჩერნობილში დაღუპულთა ძმათა სასაფლაოზე, იმაზე, რომ თურმე მთელი უკრაინა მოწამლულია და ა.შ. მოკლედ, ჩვენ შევეჯახეთ მასიურ ცრუ და უსინდისო პროპაგანდას მომართულს ჩვენკენ. უსიამოვნოა მათზე საუბარი, მაგრამ საჭიროა. საჭიროა გაიგოს ყველამ მათი ცრუ კამპანიის და ჩვენი თავგანწირული ქმედებების შესახებ. ამ ინფორმაციის ავტორებს არ აინტერესებდათ არც ნამდვილი ისტორია ავარიის შესახებ,

არც სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ქმედითი ნაბიჯები, არც ჩერნობილში მცხოვრები ადამიანების ბედი, არამედ ეძებდნენ საბაბს, როგორ გაეცამტვერებინათ საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მსოფლიო საზოგადოების წინაშე."

გაზეთი „კომუნისტი" და სხვა საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ხალხი აგზავნიდა წერილებს, სადაც მათ სურდათ, წასულიყვნენ ჩერნობილში ადგილობრივების დასახმარებლად. თუმცა, ვფიქრობთ, მათი უმრავლესობა ვერც აცნობიერებდა, თუ რა საფრთხე ელოდათ იქ, ხოლო ვინც აცნობიერებდა, მათ წასვლას აიძულებდნენ. მთავრობას ხალხი მიჰყავდა უმძიმეს პირობებში სამუშაოდ და მათგან უარი არ მიიღებოდა, რადგან მათ შეფარვით ემუქრებოდნენ. ამ თემასთან დაკავშირებით ჩავწერეთ ინტერვიუ ჩერნობილის ირგვლივ მიმდინარე დამხმარე სამუშაოების ერთ-ერთ მონაწილესთან და ამავე დროს ჩვენი ჯგუფის წევრის მამასთან, ელგუჯა ჯანაშიასთან.

ინტერვიუ ელგუჯა ჯანაშიასთან

ბატონი ელგუჯა მაშინ 23 წლის იყო და ლვოვის სატყეო ინსტიტუტში ხე-ტყის დამუშავების ფაკულტეტზე სწავლობდა. ჩერნობილის კატასტროფიდან 2 კვირის თავზე ინსტიტუტში შეიქმნა 120 კაციანი ჯგუფი, რომელიც შემთხვევის ადგილიდან 50 კილომეტრის დაშორებით, მიტოვებულ სოფელში ჩავიდა. მათ ევალებოდათ საცხოვრებელი სახლების აშენება დაზარალებული ხალხისთვის. თუმცა, ეს ტერიტორიაც, მაღალი რადიაციის გამო, საფრთხის შემცველი იყო სიცოცხლისთვის. ბატონი ელგუჯა გვიყვება, რომ იქ ჩასვლისთანავე შეამჩნია 2-ჯერ და 3-ჯერ უფრო დიდი მცენარეები, რაც მაღალი რადიაციის შედეგი იყო. მცენარეებთან ერთად რადიაციის კვალი ეტყობოდათ თევზებსაც – თითო თევზი დაახლოებით 3-4 კილოგრამს იწონიდა. რათქმაუნდა, ეს საკვები პროდუქტები უვარგისი იყო ადამიანისთვის, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მათ ჩუმად ჰყიდდა კიევის ბაზარზე. როგორც ელგუჯა ჯანაშია გვიყვება, დღისით გაუსაძლის სიცხეში, ხოლო ყოველ ღამე წვიმაში მუშაობდნენ. სამშენებლო მასალა, რომელიც სომხეთიდან ჩამოჰქონდათ, უმეტესწილად, გამოუსადეგარი იყო – 60 ვაგონი აგურიდან ვარგისად მხოლოდ 6 მანქანა თუ გადაირჩეოდა. იქ მყოფი მუშახელისთვის საკვები და წყალი ტყვიის კონტეინერებით ჩაჰქონდათ. გა-

სართობად მხოლოდ წიგნები ჰქონდათ. იქ ყოფნის ორი თვის მანძილზე ერთხელ ერთ საათიანი კონცერტიც ჩაუტარეს. მათი ანაზღაურება ამ ორი თვის განავლობაში 400 მანეთს შეადგენდა, რაც ბევრად ნაკლები იყო იმ მუშების ანაზღაურებაზე, რომლებიც ერთი კვირით ჩაჰყავდათ, მაგრამ ერთი დონით ახლოს კატასტროფის ეპიცენტრთან. მიხეილ გორბაჩოვის დებულების მიხედვით, ჩერნობილში მყოფ სტუდენტებს გარკვეული შეღავათებით უნდა ესარგებლათ, როგორიცაა ავტობუსით უფასოდ მგზავრობა, თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ესაც გაუქმდა.

ინტერვიუ გია ჯალაღონიასთან

კიდევ ერთი ინტერვიუ ჩვენს მასწავლებელთან, გია ჯალაღონიასთან ჩავწერეთ, რომელმაც ჩერნობილის ერთ-ერთ გმირზე, მამამისზე, გივი ჯალაღონიაზე გვიამბო. იგი უშუალოდ იმყოფებოდა ჩერნობილის კატასტროფის ეპიცენტრში, სადაც იძულებით წაიყვანეს, რადგან შეფარვით ემუქრებოდნენ იმ დროს საზღვარგარეთ ჯარში მყოფ მის შვილს.

ის გვიყვება, რომ რადიაციის დონე იმდენად მაღალი იყო, რომ დღეში მხოლოდ 4 წუთს ამუშავებდნენ – მათ გახურებულ გრაფიტზე ქვიშის დაყრა ევალებოდათ. იმ დროინდელი მეცნიერებისთვის ეს იყო ერთადერთი გამოსავალი იმისათვის, რომ რადიაციის გავრცელება ოდნავ მაინც შეემცირებინათ, თუმცა, გრაფიტის სიმხურვალე იმდენად მაღალი იყო, რომ ქვიშა დაადნო და ეს გრაფიტი კიდევ უფრო საშიში გახადა. ბატონი გია იხსენებს, რომ მამამისის ჯგუფის ყველა წევრი გამელოტდა ან ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ, მათ შორის, ბატონი გიას მამასაც.

წლების შემდეგ საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ჩერნობილის ტრაგედიის დროს სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, დაწერს: „1986 წ. 26 აპრილს უკრაინაში მოხდა ჩერნობილის კატასტროფა – ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგურის აფეთქება, რომელიც ბევრად აღემატებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიაში ატომური ბომბის აფეთქების სიძლიერეს. ამან გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მსოფლიოზე – აღმოჩნდა, რომ დედამიწა ისე პატარაა, დიდი კატასტროფები და ტრაგედიები არ ეტევა ერთი ქვეყნის ფარგლებში, მაგრამ ჩერნობილის ინციდენტი მხოლოდ იმით კი არ იყო ტრაგიკული და ნიშანდობლივი, რომ უდიდესი ავარია

მოხდა, რომ მოიწამლა მიწა, ჰაერი და დაიღუპა და კიდევ იღუპება ათასობით ადამიანი, არამედ იმითაც, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ ამ უბედურების მიჩქმალვა მოისურვა. დიახ, იდეოლოგიური დოგმების გამო გაიწირა ათიათასობით ადამიანი, ქვეყნის გენოფონდი – ყველამ დაინახა, რომ საბჭოთა კავშირში ადამიანი სრულიად დაუცველია.

მთელი კვირის განმავლობაში არსად არაფერს ამბობდნენ, მხოლოდ სპეციალისტები იგზავნებოდნენ ადგილზე, მათ შორის იყვნენ ენერგეტიკის მინისტრი, ატომური ელსადგურის პროექტის ავტორი და, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ბავშვები – სპორტულ შეჯიბრებებზე, ქალაქ გომელში, რადიოაქტიური ეფექტის მიმწვდომ ფარგლებში. ხომ უნდა დაერწმუნებინათ მსოფლიო, რომ არაფერიც არ მომხდარა.

მეორე თუ მესამე დღეს მოსკოვში, პარტიის ცეკაში საგანგებო კომისიის თათბირი შედგა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. ამჯერად, ჩემს მოადგილეს, ცნობილ დიპლომატს ანატოლი კოვალიოვს ვუხმე. ვკითხე, ასეთ თათბირზე ჩემს ადგილზე რას იზამდი-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ თათბირზე უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი – გახმაურებულიყო ეს ამბავი თუ არა. როგორც გავიგე, თურმე არ უნდა გახმაურებულიყო.

კოვალიოვმა ერთი რამ მითხრა გულახდილად და გადჭრით: როგორიც უნდა იყოს სიტუაცია, თქვენ უნდა მოითხოვოთ, რომ ინფორმაცია სასწრაფოდ გამოქვეყნდესო. ეს სავსებით დაემთხვა ჩემს შეხედულებას, მაგრამ თათბირზე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ რვიდან მხოლოდ ორნი მოვითხოვდით ინფორმაციის გამოქვეყნებას. მაშინ ითქვა სწორედ - კატასტროფული არაფერი ხდება, ყველაფერი ჩაცხრება და მსოფლიო მასშტაბით აურზაურის ატეხა არ გვჭირდებაო. ეს პოზიცია პოლიტბიუროზე განხილვამდე ერთი დღით ადრე დაფიქსირდა, საბოლოო გადაწყვეტილება კი პოლიტბიუროს უნდა მიეღო.

პოლიტბიუროს სხდომაზე გორბაჩოვმა ჯერ ენერგეტიკის მინისტრს ჰკითხა აზრი. მან განაცხადა: „საგანგაშო არაფერია, არის პატარა მასშტაბის ჩვეულებრივი ავარია, რომელიც მხოლოდ ერთ ბლოკში მოხდა. მე დღეს მივდივარ ჩერნობილში და იმ მილში ძირამდე თავად ჩავძვრები, იმდენად უსაფრთხოა იგი.“

მალე უცხოეთში ძალზედ დიდი ხმაური ატყდა. გაჩუმება აღარ შეიძლებოდა და გორბაჩოვმაც გასცა განკარგულება ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ.

რატომ არ ვიყავი უფრო პრინციპული? – პრობლემას არ ვიცნობდი. ატომური სადგური ნანახიც არ მქონდა და მინისტრის, კომპეტენტური კაცის აზრს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა“.

მოკლედ, საბჭოთა კავშირი, ამა თუ იმ მიზეზით, მალავდა მომხდარს – სრულ ინფორმაციას ძალიან ძუნწად ან საერთოდ არ იძლეოდა. დრო იყო ასეთი. საზოგადოება სახელმწიფოს ცოდვებს, შეცდომებსა და დანაშაულს ჯერ კიდევ მალავდა. დამალვისა და მიჩქმალვის პრაქტიკა ხშირად უგუნურ ხასიათს იღებდა. მაგალითად, ნახევარმა მსოფლიომ იცოდა, რომ სვერდლოვსკის ოლქში აწარმოებდნენ მასობრივი განადგურების იარაღს, საბჭოთა ხალხმა კი არ იცოდა.

ჩერნობილში მომხდარმა ტრაგედიამ დაანახა ყველას, რომ უპირველესად ყალბი დოგმები უნდა დაენგრიათ – სიმართლე ბევრად მომგებიანი იყო. ჩვეულებრივი ტყუილი, რეალობის ჩვეული მიჩქმალვა, მსოფლიოსაგან ჩვეული გამიჯვნა აღარ შეიძლებოდა – გადარჩენის ერთადერთი გზა მხოლოდ სიმართლისა და პატიოსნების გზა იყო.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირისა და ტოტალიტარიზმის მნიშვნელობა თანხვედრაშია. საბჭოთა კავშირი ყველანაირ მეთოდს იყენებდა თავისი ხალხის ინფორმაციულ ვაკუუმში მოსაქცევად, მათ შორის გაზეთ „კომუნისტს“, რომლითაც ხელისუფლებისათვის საჭირო ცრუ ინფორმაციებს ავრცელებდნენ. რადიოთიც მხოლოდ რუსული არხების დაჭერა იყო შესაძლებელი, რითაც ხალხის მანიპულირება ხდებოდა. მიხეილ გორბაჩოვს და იმდროინდელ მთავრობას ხალხის ბედი არ ადარდებდა, მთავარი „სახის შენარჩუნება“ იყო. და ეს ასე იყო მუდამ და მთელ საბჭოეთში.

წყაროები:

ინტერვიუ ელგუჯა ჯანაშიასთან;
ინტერვიუ გია ჯალაღონიასთან;
გაზეთი „კომუნისტის“ 1986 წლის მაისის გამოცემები;
საბჭოთა საინფორმაციო გადაცემა „ვრემია“ – 1986 წ. 14 მაისის გამოშვება;
ჯანსუღ ღვინჯილია – „ქართველი კაცის სინამდვილე“;
ედუარდ შევარდნაძე - „ფიქრი წარსულსა და მომავალზე - მემუარები“;
http://mastsavlebeli.ge/?p=18284 – პიროვნება ტოტალიტარულ სახელმწიფოში;
http://dictionary.css.ge/content/totalitarianism – ტოტალიტარიზმი;
https://intermedia.ge/ – ჩერნობილის ტრაგედია, რომელმაც შეძრა მსოფლიო;

II PLACE

BARBARE TSKHADADZE, LIZI KARTVELISHVILI IRAKLI ABRAMASHVILI

Teacher: Natela Gogaladze
Lesia Ukrainka School #3 in Surami

The essay “Thank you, God, for letting me witness this...” of Barbare Tskhadadze, Lizi Kartvelishvili, and Irakli Abramashvili from Lesia Ukrainka School #3 in Surami, also won second place. Teacher: Natela Gogaladze.

This is it – the complete tragedy of the Soviet person, or rather a human living in the Soviet Union, because the hero of the essay, Simon Khvedelidze, was never a Soviet person. On the contrary, he became the victim of his categorically anti-Soviet attitude. It is a real story and the authors interviewed many eyewitnesses and eavesdroppers to restore it.

The story starts at the beginning of the last century, goes through the 70-year Soviet period, and ends in the 90s when Simon's long-awaited dream finally came true and Georgia gained independence. Only after that, Simon Khvedelidze passed away. He left a note: “Thank you, God, for letting me witness this” on the wall of the psychiatric hospital, where he spent almost his entire life “thanks” to the Soviet regime.

The author conveys this soul-stirring story so impressively that even 30 years after the end of the Soviet Union, you can feel exactly how the Soviet regime mutilated people's fortunes and from what misery this world was freed after its collapse.

II ადგილი

ბარბარე ცხადაძე, ლიზი ქართველიშვილი, ირაკლი აბრამაშვილი

მასწავლებელი: ნათელა გოგალაძე
ლესია უკრაინკას სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის N3 საჯარო სკოლა

მადლობა, ღმერთო, რომ ამას მომასწარ...

(აქ მოთხრობილი ამბავი ეფუძნება რეალურ ისტორიას, რომლის დასადგენადაც მრავალი თვითმხილველის გამოკითხვა გახდა საჭირო)

მსოფლიოს, თავისი ისტორიის მანძილზე, მრავალი სისხლიანი რეჟიმი ახსოვს, რომლებიც სოციალური ევოლუციის აღმავალ ბილიკს შხამიანი სოკოებივით მიეკვრებოდნენ და ამ შხამით გაჯერებული იდეოლოგიით და ცეცხლითა და მახვილით შანთავდნენ პლანეტის ერთიან სხეულს. აგორებული ზვავივით ატყდებოდნენ ისინი უზარმაზარ ტერიტორიებს და იმპერიული ვნებების დასაკმაყოფილებლად მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს სწირავდნენ. ადამიანი, როგორც ინდივიდი, არაფერს ნიშნავდა მათთვის და ამის დასტურად, თუნდაც ბოლშევიზმის ბელადის სიტყვებიც კმარა, რომელიც ამბობდა, ათასი და მეტი კაცის სიკვდილი მხოლოდ სტატისტიკაა და მეტი არაფერიო...ამ მრავალ იმპერიას შორის, თავისი დაუნდობლობით, ალბათ, უპირველესი სწორედ ბოლშევიზმია, რომელმაც 70 წლის მანძილზე პლანეტის ერთ მეექვსედ ტერიტორიას დააბიჯა მძიმე ჩექმა და ცრუ, მავნე ფილოსოფიურ იდეოლოგიას ამოფარებულმა, მილიონობით ადამიანს სიცოცხლეშივე ანახა ჯოჯოხეთი.

დღეს ჩვენ ერთ ღირსეულ კაცზე გვინდა, მოგითხროთ – ფართო მასებისთვის სრულიად უცნობ პიროვნებაზე, რომელმაც სურამში, ჩვენს დაბაში, დატოვა პატარა ლეგენდა, ლეგენდა კაცისა, გოლიათთან მებრძოლი ბიბლიური დავითივით ცარიელი ხელებით რომ ებრძოდა უზარმაზარ იმპერიას, რომელმაც ისიც და მთელი მისი ოჯახიც გაანადგურა.

...1991 წლის 12 აპრილი ... სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს სასადილო ბლოკში პაციენტები, დილის საუზმის მოლოდინში, მაგიდებს უსხდნენ. ყველა მაგიდა შევსებულიყო. მხოლოდ ერთი იყო კაცნაკლული.

– სიმონი სად არის? – იკითხა სანიტარმა მარიამ დავითიანმა.

– ალბათ, არ უნდა ჭამა, – გასცეს პასუხი.

– როგორ თუ არ უნდა, მშიერი ხომ არ იქნება?- ჩაილაპარაკა სანიტარმა და სიმონის პალატისაკენ გაემართა. ფრთხილად შეაღო კარი. ოთახში სიჩუმე იდგა. შორეულ კუთხეში, მორყეულ, ჟანგმორეულ საწოლზე კი იწვა კაცი, რომელიც ღია თვალებით ჭერს უცქერდა და სახეზე რაღაც ბედნიერი, ნათელი ღიმილი დასთამაშებდა.

– სიმონ, საუზმის დროა, ჩქარა, თორემ დარჩები მშიერი! – ჩასძახა სანიტარმა და როდესაც პასუხი ვერ მიიღო, საწოლს მიუახლოვდა. კაცს გულზე ხელი დაეკრიფა, რომელშიც გაცრეცილი ფოტოსურათი ეჭირა. სურათზე ახალგაზრდა წყვილს 2-3 წლის ბავშვი ეჭირათ და მას უღიმოდნენ.

– არ გესმის, კაცო, შენ? – ხმას მოუმატა სანიტარმა და პაციენტი შეანჯღრია. ფოტოსურათი ნელა ჩამოცურდა კაცის ხელიდან და ძირს დავარდა.

– გარდაცვლილა ეს საცოდავი, – ჩაილაპარაკა შეშინებულმა სანიტარმა და მთავარი ექიმის მოსაძებნად გაიქცა. თუმცა, სანამ შეტრიალდებოდა, საწოლის თავზე გაკრულ და ჭუჭყისაგან გაშავებულ შპალერს ახედა, რომელზეც მსხვილი ასოებით, ნახშირით წაეწერათ: „მადლობა, ღმერთო, რომ ამას მომასწარ...“

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

სიმონ ხვედელიძის ბაბუა (სამწუხაროდ, მისი სახელი ვერ დავადგინეთ) შეძლებული კაცი ყოფილა ჭიათურაში. რამდენიმე საამქროს ფლობდა და ოჯახიც გამართული ჰქონდა. ქვეყნის გასაბჭოებისთანავე მთელი ქონება ხომ ჩამოურთმევიათ, მაგრამ ეს არ აკმარეს და 1924 წელს, როგორც „მავნე ელემენტი“, დაუხვრეტიათ. თვითონ სიმონი 1938 წელს დაბადებულა. მისი დაბადებით გახარება არ აცალეს მშობლებს, „ხალხის მტრების“ იარლიყით შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს, საიდანაც ვეღარ დაბრუნებულან. ბებო, მოხუცი ბებო, ზრდიდა სიმონს. სკოლა ისე დაამთავრა, ხალხის მტრების შვილის სახელი თითქმის ყოველდღე ესმოდა. პირველი დაპირისპირება რეჟიმთან სკოლაშივე დაიწყო, როდესაც კომკავშირში გაწევრიანებაზე თქვა უარი. სკოლის დამთავრების შემდეგ კი

მთელმა ჭიათურამ იცოდა მისი სახელი. 1957 წლის (ან 1958 წლის) პირველი მაისი იდგა. ჭიათურის ცენტრში შეკრებილი ხალხი საპირველმაისო დემონსტრაციის დაწყებას უცდიდა. პარტიული ბოსები მაღალ ტრიბუნაზე იდგნენ და კეთილმოწყალე ღიმილს არიგებდნენ ირგვლივ. ტრიბუნას კი უზარმაზარი პლაკატი ამშვენებდა: „დიდება კომუნისტურ პარტიას“.

სიმონს წინა დღეს უკვე მეათედ თუ მეოცედ უთხრეს უარი სამუშაოს დაწყებაზე, როგორც მტრების შვილი, ყველამ მოიცილა თავიდან. ის იყო დემონსტრაცია დაიწყო და საბჭოთა ბელადების სურათებმა იწყეს მსვლელობა, რომ სიმონი ტრიბუნას მიუახლოვდა, ის უზარმაზარი პლაკატი ჩამოხია და ზედ ფეხით შედგა. ჯერ შვიდი წელი რუსთავის კოლონიაში ჯიჯგნეს მისი სხეული. არც მერე აღირსეს თავისუფლება და ეს ნაწამები კაცი ორი წელი თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტეს, აქედან კი უკვე დაუძლურებული, ფსიქოტროპული წამლებით გაჯერებული, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. აი, აქ იწყება ის ისტორია, რომელიც პატარა ლეგენდასავით დადის სურამში და დღესაც ბევრი იხსენებს ამ საოცარ პიროვნებას.

პირველი წელი თითქმის უბრად ყოფილა სიმონი. არავის ეკონტაქტებოდა და არც რამეს „აშავებდა“. ორი წლის მერე ჩათვალეს, რომ იგი აღარ იყო უკვე „საზოგადოებისათვის საშიში“, ამიტომ ეზოში გასვლის ნებაც დართეს და, პარალელურად, მცირე ხნით, სურამის ცენტრში გავლაც შეეძლო. სწორედ აქ „აღმოაჩინა“ სიმონმა გაზეთების ის ჯიხური, რომელიც შემდეგ, მთელი ოცი წელი, მისი ცხოვრების ნაწილად იქვა. სხვა ცხოვრება აღარც ჰქონია სიმონს. ჯერ კიდევ ციხეში ყოფნისას გაიგო, რომ მისი გამზრდელი ბებია გარდაცვლილა. სახლი კი, პრაქტიკულად, აღარც არსებობდა. ან რა სახლი იყო? ბაბუის ნაქონი დიდებული ოდა ადრევე დაატოვებინეს ოჯახს და სადღაც, ძველი ფერმის ხის სადგომში შეასახლეს. ოროთახიანი ხის ხუხულა, ასე თუ ისე, გაამაგრეს და მოაწყვეს, მაგრამ ბებიის გარდაცვალების შემდეგ, ფიცარ-ფიცარ გაუზიდავთ მავანთ და მხოლოდ დაშლილი და სახურავჩამოშლილი ნანგრევებიღა დარჩენილა. ამიტომ იქცა სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო სიმონის სახლად. ბრძოლის ჟინი? ბრძოლის ჟინი არც განელებია სიმონს. იცოდა, კარგად იცოდა, რომ ისტორიული კანონზომიერება, როცა იქნებოდა, დაასამარებდა და დაანგრევდა რეჟიმს, რადგან მარადიული იმპერიები არ არსებობენ და სხვის სისხლზე აღმოცენებული, საბოლოოდ თვითონ

იცლებიან სისხლისაგან. ათასების თავზე აღმართული მახვილი, საბოლოოდ, ისევ უკან უბრუნდებათ და ამ მახვილითვე სამარდებიან, მახვილით, რომლის ვადასაც ულამაზესი წარწერა ამშვენებს – „თავისუფლება“. დიახ, ეს იცოდა სიმონმა და უდიდესი სურვილიც ჰქონდა თვითონაც სჭეროდა ეს მახვილი, მაგრამ მის დაუძლურებულ სხეულს აღარ შეეძლო აქტიური ბრძოლა. გაჩერება კი მისი მშობლების, ბაბუის, მისი გამზრდელი ბებოს ხსოვნის შეურაცხყოფა იყო. ამიტომაც შეცვალა ტაქტიკა, ბრძოლის მეთოდი და უფრო „მშვიდობიან“ მეთოდს მიადგა, მეთოდს, რომელსაც ოცი წლის განმავლობაში, ყოველდღე იმეორებდა და ეს მისთვის ბრძოლაც იყო რეჟიმთან, მოყვასის წინაშე ქადაგებაც, ლოცვაც და ოცნებაც.

სურამში დღესაც იხსენებენ: როცა სიმონი გამოჩნდებოდა და გაზეთების ჯიხურისაკენ მიემართებოდა, ყველამ იცოდა, რომ ზუსტად 8 საათი და 30 წუთი იყო. 9 საათზე ახალი გაზეთები მოჰქონდათ ჯიხურში. სიმონი პირველი უნდა ყოფილიყო. იქვე, ჯიხურთან, სკამზე ჩამოჯდებოდა და სკოლის მოსწავლეებს აცილებდა მზერით. ბავშვები მისი სისუსტე იყო. თუ გაზეთები იგვიანებდა, რომელიმე პირველკლასელს ჩანთას გამოართმევდა და არც თუ შორს, სულ რაღაც ორასიოდე მეტრში, სკოლამდე მიატანინებდა. მერე თავზე აკოცებდა, აბა, შენ იცი, ბევრი ხუთიანით დაბრუნდიო, ეტყოდა. ყველა პატარა ცნობდა სურამში. ყველა პატარას მეგობარი იყო სიმონი. ამასობაში, გაზეთებიც მოვიდოდა. აი, იქ კი იწყებოდა „წმინდა რიტუალი“. გაზეთების გამყიდველს არც ჭირდებოდა თქმა რომელი გაზეთი მიეწოდებინა სიმონისათვის. ექვსი გამოცემა იყო მისი სამიზნე: ქართული გაზეთებიდან ორი გადმოდიოდა მის ხელში – „კომუნისტი“ და „ახალგაზრდა კომუნისტი“, რუსულიდან კი – „პრავდა“, „იზვესტია“, „ტრუდი“ და „კომსომოლსკაია პრავდა“. სათუთად დააწყობდა ამ „ნადავლს“ სიმონი. გაასწორებდა, რომ კიდეები ერთმანეთს დამთხვეოდა, იქვე მდგარ ნაგვის ურნასთან მივიდოდა, ოთხად გადახევდა ყველას ერთად, ურნაში ჩაყრიდა და – ამ სიმართლით იარეთ თქვენო, - ჩაილაპარაკებდა. გვერდზე წყლის „სოკოსთან“ მივიდოდა, ხელს გადაიბანდა და უზომოდ კმაყოფილი, რომ ამ გაზეთებიდან გადმოსული მავნე იდეოლოგია თუნდაც ერთ კაცს აა-შორა, ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა ფსიქიატრიულისაკენ მიმავალ გზას. ოცი წელი ყოველდღე მეორდებოდა ეს რიტუალი. მხოლოდ ორშაბათი დღე იყო გამონაკლისი – ამ დღეს გაზეთები არ გამოდიოდა. ეს დღე მისი განტვირთვის დღე იყო. ერთადერთი განძი, რაც მას ოჯახიდან დარჩა,

გაცრეცილი ფოტოსურათი იყო, რომელიც მუდამ გულისჯიბეში ედო. სურათზე ორი წლის სიმონი ეჭირათ ხელში მის მშობლებს. ორშაბათ დღეს ფსიქიატრიულის ეზოს შორეულ კუთხეში ჯდებოდა სიმონი. ამ ფოტოს მუხლებზე დაიდებდა, მთელი საათი უცქერდა, მერე ისევ ჯიბეში ჩაიდებდა და ოცნებებში იძირებოდა.

ტელევიზორი არ უყვარდა სიმონს. არც არასოდეს უყურებდა. ერთადერთი გამონაკლისი 1991 წლის 9 აპრილი ყოფილა. თავიდან ბოლომდე უყურებია უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომისათვის და როდესაც თავისი ყურით მოისმინა, რომ საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო გახდა, მთელი საღამო პატარა ბავშვივით ქვითინებდა თურმე. ამ ამბიდან სამ დღეში დატოვა სიმონ ხვედელიძემ ეს მისთვის აუტანელი სამყარო. შესრულებულად ჩათვალა ის მისია, რომელიც განგებამ მას დაავალა. აღარაფერი ესაქმებოდა აქ. თავისი ოჯახის მონატრება კი ისეთი მძაფრი იყო, რომ გაუსაძლისს ხდიდა მის არსებობას. არავინ შეუწუხებია, ჩუმად, უხმაუროდ წავიდა და დატოვა მხოლოდ სახელი და ნახშირით, აკანკალებული ხელით შესრულებული წარწერა – „მადლობა, ღმერთო, რომ ამას მომასწარ...“

P.S. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საინტერესო პიროვნების ისტორია მხოლოდ თვითმხილველთა ნაამბობიდან შევადგინეთ. სამწუხაროდ, რაიმე დოკუმენტზე, რომელიც შესაძლებელია, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფილიყო დაცული, ხელი არ მიგვიწვდა. როგორც განგვიმარტეს, იქ ეს არქივი აღარ არსებობს. არის შანსი, რომ რაიმე დოკუმენტი იყოს ფსიქიატრიული გაერთიანების ცენტრალურ არქივში, მაგრამ მასზე წვდომა მხოლოდ სასამართლოს ნებართვითაა შესაძლებელი და ერთიც: ნაამბობში მოთხრობილი გვარ-სახელები რეალურია და არ ჩავთვალეთ საჭიროდ მათი შეცვლა, რადგან გვინდა და მიგვაჩნია, რომ ეს სახელები ისტორიამ უნდა იცოდეს, რომ უჩინარი პირები, ბოლოს და ბოლოს რეალურ გმირებად იქცნენ.

III PLACE

NIKOLOZ SHARABIDZE

Teacher: Tamuna Macharashvili
Millennium School, Tbilisi

“Education is a double-edged sword, which can be used both for the benefit and harm of people. It depends on who is holding it.” The video “Georgian education in late Soviet and transitional Georgia” which won third place, created by 14-year-old Nikoloz Sharabidze (Millennium School, Tbilisi) under the guidance of teacher Tamuna Macharashvili, starts with this quote from famous Georgian educator Iakob Gogebashvili.

Through his viewpoint, he conveyed to us the characteristic violations and vices of the school at that time. The video reflects the history of the communist education system and the truth of the above-mentioned words.

III ადგილი

ნიკოლოზ შარაბიძე

მასწავლებელი: თამუნა მაჭარაშვილი
ათასწლეულის სკოლა, თბილისი

მესამე ადგილზე გასული საკონკურსო ნამუშევარი არის ვიდეო „ქართული განათლება გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოში“, რომელიც პედაგოგ თამუნა მაჭარაშვილის ხელმძღვანელობით 14 წლის ნიკოლოზ შარაბიძემ (ათასწლეულის სკოლა, თბილისი) შექმნა. „განათლება ორლესული იარაღია, რომლის გამოყენება შეიძლება ადამიანთა სასარგებლოდაც და საზიანოდაც. საქმე იმაშია, თუ ვის უჭირავს იგი ხელში“ – იაკობ გოგებაშვილის ამ სიტყვებით იწყებს ავტორი საკუთარ ვიდეოში საუბარს და საკუთარი თვალთახედვით გადმოგვცემს იმდროინდელი სკოლის მახასიათებელ დარღვევებსა და მანკიერებებს.

IV PLACE

NINI ARCHVADZE, TINATIN BURDULI GIORGI AKHALAURI

Teacher: Ekaterine Ushikishvili
Tianeti N1 public school

“Three decades have passed since the collapse of the Soviet Union. Is the Soviet legacy over? Unfortunately, this is still an ongoing topic. It is true that the era of the superpower called the “Evil Empire” has ended but its ghost will haunt those people (republics) who gained freedom at the price of blood for a long time” – this is an excerpt from one of the winning essays “Heroes and anti-heroes of the War in Abkhazia” which was prepared under the guidance of Ekaterine Ushikishvili, by middle school students Nini Archvadze, Tinatin Burduli and Giorgi Akhalauri from Tianeti N1 public school. The authors of the work touch on the painful topic of the War in Abkhazia and, based on the narrations and reviews of the eyewitness veterans interviewed by them, introduce us to the known and unknown heroes of that unjust war, positive and negative characters whose actions affected the fate of the war. In their research, the participants of the competition learned and understood much more than what they knew from school textbooks about the War in Abkhazia, and the above-mentioned conclusion is also the result of their observations. This essay won them fourth place in the competition and it left the knowledge that they found through their own work and findings, and shared with others, forever.

IV ადგილი

ნინი არჩვაძე, თინათინ ბურდული
გიორგი ახალაური

მასწავლებელი: ეკატერინე უშიკიშვილი
მირზა გელოვანის სახელობის დაბა თიანეთის N1 საჯარო სკოლა

აფხაზეთის ომის გმირები და ანტიგმირები

სამი ათეული წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლიდან. დასრულდა კი საბჭოთა მემკვიდრეობა? სამწუხაროდ, ეს ჯერ კიდევ აქტუალური საკითხია. მართალია, დასრულდა ეპოქა „ბოროტების იმპერიად“ წოდებული ზესახელმწიფოსი, მაგრამ მისი აჩრდილი კიდევ დიდხანს არ მოასვენებს იმ ხალხებს (რესპუბლიკებს), რომელთაც სისხლის ფასად მოიპოვეს თავისუფლება. საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციაა. მისი მთავარი მიზანი კი პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთარი გავლენის შენარჩუნებაა და ამისთვის დღემდე იყენებს დრომოჭმულ იმპერიალისტურ მეთოდებს. ამის მკაფიო მაგალითია XX – საუკუნის მიწურულის აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტი, რუსეთის მიერ პროვოცირებული და განხორციელებული. ამას მოჰყვა 2008 წლის სისხლიანი მოვლენები, რომლის შედეგად საქართველოს 20% ჯერ კიდევ ოკუპირებულია. თავისუფლებისათვის ბრძოლა დიდი სისხლის ფასად დაუჯდა ჩვენს ქვეყანას. ასე, რომ ჯერ კიდევ ბევრი შავი ლაქა არსებობს ისტორიაში და ბევრი კითხვაა პასუხგაუცემელი.

ვინაიდან, სახელმძღვანელოებში აფხაზეთის ომზე ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული და ინფორმაციაც მწირია, ჩვენმა გუნდმა მიზნად დავისახეთ მოგვეძიებინა ინფორმაცია აფხაზეთის ომზე, ჩვენი, თიანეთის რაიონიდან აფხაზეთის ომის მონაწილეთა შესახებ, გამოგვეკითხა თვითმხილველი ვეტერანები და მათი მოყოლილი ამბებიდან და გადასახედიდან გვემსჯელა აფხაზეთის ომის გმირების და ანტიგმირების შესახებ. გვაინტერესებდა, რა შემორჩა მათ მეხსიერებას.

როგორც პასტერნაკი ამბობდა: „ქართველების ბუნებაში ერწყმის ყვე-

ლაზე ამაღლებული და ყველაზე ზნედაცემული მომენტები ერთდროულად.“ ყველაფერს, რაც ამქვეყნად არსებობს, ორი მხარე აქვს: დადებითი და უარყოფითი. აფხაზეთის ძმათამკვლელ ომშიც ორი ურთიერთსაპირისპირო საკითხი გამოიკვეთა, რომელიც მთავარი მსჯელობის საგანია ჩვენს ესეში:

დადებითი არის ის, რომ აფხაზეთის ომმა დაგვანახა ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეს სწირავენ სამშობლოსთვის, მოყვასისთვის. სწორედ, რომ სამაგალითოა მათი საქციელი და მათი გმირობის მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ მომავალი თაობები.

უარყოფითი არის ის, რომ გამოიკვეთნენ ადამიანები, რომელთა ქმედებებიც სამარცხვინოა. ზოგიერთი ქართველი აფხაზეთის ომში მიდიოდა მაროდიორობისთვის, ძარცვისთვის, მოსახლეობის დატერორებისთვის. თავისი საქციელით მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. ესენი არიან ანტიგმირები.

მუშაობის დაწყებამდე გარკვეული წინარე ცოდნა გვქონდა საკითხთან დაკავშირებით. ვიცოდით, რომ აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში გადამწყვეტი როლი 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში მომხდარმა სამოქალაქო ომმა და სახელმწიფო გადატრიალებამ შეასრულა. ქვეყანა სრულ ქაოსში აღმოჩნდა. საქართველოს არალეგიტიმური ხელისუფლების გაუაზრებელ ქმედებებს კი შედეგად მოჰყვა საქართველოს ჩათრევა აფხაზეთის პროვოცირებულ კონფლიქტში. სერიოზული დაძაბულობის კერად იქცა დასავლეთ საქართველო, სადაც ზვიად გამსახურდიას მომხრეები აკონტროლებდნენ სიტუაციას. ექსპრეზიდენტი თავის მომხრეებს დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდა. ისინიც აწყობდნენ საბოტაჟს, აფერხებდნენ სარკინიგზო მიმოსვლას. წესრიგის აღდგენის მიზნით „მხედრიონის“ სამხედრო შენაერთები სამეგრელოში ჩავიდნენ, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. მაროდიორობდნენ და ატერორებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ქართველთა დაპირისპირებით სარგებლობდნენ რუსეთის იმპერიული ძალები, რომლებიც აფხაზეთის ხელმძღვანელობას აგულიანებდნენ. ისინი საერთოდ არ ითვალისწინებდნენ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ინტერესებს. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ სარკინიგზო მაგისტრალს ხშირად ძარცვავდნენ სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებები. რკინიგზის გაკონტროლების აუცილებლობისთვის 1992 წლის აგვისტოში

საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, შეიარაღებული ძალა შეიყვანა. მოულოდნელად აფხაზურმა სამხედრო შენაერთებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ქართულ ძალებს და შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო.

ესეს დამუშავებისთვის საჭირო მასალების მოსაგროვებლად შეძლებისდაგვარად ჩავატარეთ კვლევითი სამუშაოები: მოვიძიეთ წყაროები, გამოვკითხეთ მოსახლეობა, ვესტუმრეთ რაიონის კომისარიატს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

კვლევის პროცესმა დაგვანახა, რომ სამუზეუმო მასალები და თემის მეხსიერება მწირია აფხაზეთის ომთან დაკავშირებით. შესაბამისად არ არიან დაფასებულნი აფხაზეთის ომის გმირები.

რაიონის სამხედრო კომისარიატში აფხაზეთის ომის თიანელ ვეტერანთა ვინაობა დავაზუსტეთ და წინასწარ მომზადებული კითხვარის დახმარებით ინტერვიუები ავიღეთ.

აფხაზეთის ომის გმირებზე საუბარი, პირველ რიგში, საქართველოს ეროვნული გმირით – ზურაბ იარაჯულით უნდა დავიწყოთ. საამაყოა, რომ იგი სწორედ თიანეთიდან გახლავთ, რაც ჩვენი კუთხისთვის დიდი პატივია.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 14 აგვისტოს განკარგულებით

„სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და გმირობისთვის მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო საჰაერო ძალების მოიერიშეთა საავიაციო ესკადრილიის მფრინავს, უფროს ლეიტენანტ ზურაბ იარაჯულს და გადაეცეს ეროვნული გმირის ორდენი (სიკვდილის შემდეგ)“.[1]

სიკვდილის შემდეგ ის, ასევე, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის 1-ლი ხარისხის ორდენით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 ნოემბრის N 39 განკარგულებით საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელი მიენიჭა დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალს.

ზურაბ იარაჯულის შესახებ ინტერვიუ ჩამოვართვით მისივე სახელობის, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლის დირექტორს – ზვიად გიანაშვილს. მან დაგვათვალიერებინა სკოლაში

მოწყობილი „ეროვნული გმირის“ კუთხე, სკოლის წინ გახსნილი მემორიალი, მოგვიყვა ზურაბის „საგმირო საქმეების, მისი ოჯახის წევრების და მისწრაფებების შესახებ; სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები როგორ მიაგებენ პატივს ეროვნული გმირის ხსოვნას. მან ისიც აღნიშნა, რომ ზურაბის დამსახურებით დღესაც აქვთ ურთიერთობა მარნეულის საავიაციო ბაზასთან, სადაც ზურა პირველ საბრძოლო წვრთნას გადიოდა. გაიხსენა ის საბედისწერო გაფრენა, როდესაც მფრინავი ჩამოაგდეს. ზურაბ იარაჯული ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიდან კატაპულტირებით გადარჩა. თუმცა აფხაზების კონტროლირებადი ტერიტორიიდან გამოღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. იგი სამი დღის შემდეგ გუმისთის ტყეში ჩეჩნურ შენაერთს გადაეყარა და ტყვეობას ღირსეული სიკვდილი არჩია. ორი ჩეჩენი მოკლა, მესამე დაჭრა და ამასობაში მტრის ტყვიაც მისწვდა. 22 წლის მფრინავისთვის ვაჟკაცობა მტერსაც დაუფასებია. ის ფარაჯაში გაუხვევიათ და ისე დაუკრძალავთ (ასეთი პატივი უცხოა საომარ მოქმედებებში ჩაბმულ, თან განსხვავებული რელიგიური მრწამსის მებრძოლებისთვის). შვილის საფლავის საძებნელად წასულ მამას სწორედ ის ჩეჩნები დახმარებიან ცხედრის პოვნასა და გადმოსვენებაში -კავკასიური ტრადიციისამებრ. იგი დაკრძალულია ზარიძეების თემის სასაფლაოზე. ზურაბი მხოლოდ გმირი კი არა, პირველ რიგში, კარგი ადამიანი ყოფილა. სწორედ კარგი ადამიანები ხდებიან გმირები.

ზურაბის მეგობარი ზვიად ბექაური იხსენებს: რუსეთში, კაჩის მფრინავთა უმაღლეს სამხედრო-საავიაციო სასწავლებელში მე და ზურაბი ერთმანეთს ვედექით გვერდში. ერთად განვიცდიდით საქართველოში მიმდინარე პროცესებს. 9 აპრილის შემდეგ ზურაბი სხვანაირი გახდა და ხშირად მეკითხებოდა, სამშობლოს რით შეიძლება დავეხმაროთო?

9 აპრილის მოვლენებმა და საქართველოში დამოუკიდებლობისთვის დაწყებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზურაბ იარაჯულზე ძალიან იმოქმედა. მას სამშობლოსკენ მოუწევდა გული, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ ქვეყანას როგორც სამხედრო მფრინავი უფრო გამოადგებოდა.

ყოველი წლის 12 მარტს, ზურაბის დაბადების დღეზე, მის საფლავთან და მემორიალთან იკრიბებიან მფრინავები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რაიონის მოსახლეობა, რათა გაიხსენონ და პატივი მიაგონ ეროვნული გმირის ხსოვნას.

ზურაბ იარაჯულის გმირობამ დიდი როლი შეასრულა მისი დის შვილის პროფესიის არჩევაში. იარაჯულების ოჯახში საავიაციო ტრადიცია კვლავ გრძელდება. სასახელო ბიძის მსგავსად, მისმა დის შვილმა მფრინავობა გადაწყვიტა და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი დაამთავრა.

აფხაზეთის ომს თიანეთიდან კიდევ ბევრი გმირი ჰყავს. ვფიქრობთ, ეს ადამიანები იმსახურებენ, რომ ფართო საზოგადოება იცნობდეს მათ. ისინი ხომ სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლას შეეწირნენ.

ესენი არიან:

- პაატა ნიკოლოზის ძე არაბული;
- გრიგოლ ოთარის ძე ბიჩინაშვილი;
- ნუგზარ ალექსის ძე ხუცურაული (დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ);
- ბადრი ხვთისოს ძე ჭინჭარაული;
- გოჩა ნოდარის ძე ბოდაველი (დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ);
- ზაზა გიორგის ძე წოწკოლაური;
- ჯიმშერ ყიდოს ძე ქავთარაძე;
- გოჩა თევდორეს ძე გარაშვილი;
- მიხეილ გერმანეს ძე ზურაბიშვილი;
- გიორგი გერონტის ძე შუშანაშვილი;
- რეზო დავითის ძე შუშანაშვილი (დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ);
- ზურაბ ვასილის ძე ყურშავიშვილი (დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ);
- მიხეილ ზაქარიას ძე მამადაშვილი;
- ვახტანგ შალვას ძე ბიჩელაშვილი (დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ);
- დათო გურამის ძე ფეტვიაშვილი;
- ზურაბ დავითის ძე ბაიაშვილი. [2]

გმირები იყავით, რა უბრალო ყოფილა გმირად გახდომა თურმე ... ამ სახელების ჩამოთვლაზე „ღიმილის ბიჭები“ გვახსენდება. ეს ადამიანები გულის ამოძახილით წავიდნენ ომში. სხვა ხმა ადამიანს არც სჭირდება სამშობლოს დასაცავად. ვფიქრობთ, ვინც გადარჩნენ ისინიც გმირები არიან, თუმცა, მათ დაფასება სჭირდებათ.

ეს არის არასრული სია, ჩვენი პატარა რაიონიდან ვინც შეეწირა აფხაზეთის ომს. სწორედ ასეთმა ვაჟკაცებმა მოიტანეს მხრებით საქართველო დღევანდელობამდე. გმირები არ კვდებიან! ასეთი გმირების მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ მომავალი თაობები.

ოდითგანვე ასე ყოფილა – როდესაც ქართველების ერთი ნაწილი სამშობლოს თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის სწირავდა თავს, მეორე ნაწილი პირადი მიზნებისთვის ყიდდა სამშობლოს, მაროდიორობდა, კლავდა, ატერორებდა.

ჯემალ ქარჩხაძე ამბობს: „გურჯებმა ბრძოლა კარგი იციანო, მაგრამ ისეთი არა – როგორც ღალატი“.[3]

ასეთ მოღალატეებს და ანტიგმირებს ემსხვერპლა არაერთი ქართველი გმირი. თიანელი მებრძოლები – რეზო შუშანაშვილი და გოჩა ბოდაველი სწორედ ასეთმა „ვაი ქართველებმა“ შეიწირეს. პოლკის მეთაურის -ტარიელ აბუაშვილის თქმით, რეზოს ბატალიონი დისციპლინირებულ, საჩვენებელ ბატალიონად ითვლებოდა. პირადად იყო უშიშარი და გამჭრიახი მებრძოლი, რისთვისაც მაიორის ჩინი მიიღო. მკაცრად სთხოვდა ყველას თავისი მოვალეობის შესრულებას. უდისციპლინობას არავის აპატიებდაო. სამაგიეროდ, მამაშვილურად ეფერებოდა და არიგებდა ბიჭებს ბრძოლის წინ. დავალებაზე უფრო ასაკოვნებს და გამოცდილებს გაიყოლებდა, წინ თვითონ მიუძღოდა ყოველთვის. თავად იყო თანამებრძოლებისთვის გმირობის და წესიერების მაგალითი. სახელისთვის მებრძოლი არ ყოფილა, ჭეშმარიტად გმირული სული ჰქონდაო, – ასე ახასიათებენ და ჰყვებიან ათას რამეს რეზოზე მისი თანამებრძოლები. სტკივათ რეზოს ღალატით სიკვდილი.

თვითმფრინავით თურმე დაჭრილები გამოაცილეს ბრძოლის ხაზიდან. თვითონ თანამებრძოლის დაკრძალვაზე თიანეთში მომავალი რეზო კი თანასოფლელებს გამოჰყვა, ჩემთან ხმას არავინ გაგცემთო. ისევ ქართველმა დააქცია ქართული სისხლი მუხანათურად.

ამ ფაქტის თვითმხილველი, სოფელ ზარიძეების მკვიდრი – ენვერ ცალუღელაშვილი (დაბადებული 1948 წლის 9 ივნისი) გვიყვება: „მოვდიოდით ავტომობილით. უკვე სამეგრელოში ვიყავით შემოსულები. თავი სამშვიდობოს გვეგონა, რომ შეიარაღებული პირები გადაგვიდგნენ წინ. ქართულად საუბრობდნენ. ავტომობილში სამნი ვიყავით – რეზო შუშანაშვილი, გოჩა ბოდაველი, ენვერ ცალუღელაშვილი. გადმოვედით და

დავუძახეთ, რომ ქართველები ვიყავით და არ ესროლათ, რასაც მოჰყვა ავტომატის ჯერი. რეზო შუშანაშვილი ადგილზევე დაიღუპა. გოჩა ბოდაველი და მე კი დაჭრილები გადაგვიყვანეს გალის საავადმყოფოში“ (ენვერ ცალუღელაშვილი, სხვათა შორის, არ იყო ჯარისკაცი. ის ფრონტზე წავიდა შვილის საძებნელად და შემდეგ დარჩა იქ, გამოუცდელი შვილი არ მიატოვა).

აქ ერთმა ფაქტმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. საავადმყოფოში არ უკეთებდნენ დაჭრილებს ოპერაციას. ერთ აფხაზ ექიმს რომ გაუგია ენვერ ცალუღელაშვილის გვარი, უთქვამს – შენ ისეთი გვარის კაცი ხარ, ეხლა რომ არ გაგიკეთო ოპერაცია, ჩემს მეგობარს ვეღარ შევხვდებიო (როგორც შემდეგ გაიგეს, იგი ენვერის თანასოფლელისა და ნათესავის – ალექსანდრე ცალუღელაშვილის ჯგუფელი ყოფილა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. ცნობისთვის – ა. ცალუღელაშვილი რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი და თიანეთის საპატიო მოქალაქეა). გაუკეთებია ოპერაცია და უსაფრთხოების მიზნით ქუთაისში გადაუყვანიათ თვითონ ექიმის ინიციატივით, რადგან იქ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ენვერი კი გადარჩა და დღესაც ცოცხალია, თუმცა ინვალიდი, მაგრამ გოჩა ბოდაველი ქუთაისის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ამაღელვებელია ის ფაქტი, რომ ქართველმა ქართველი არ დაინდო და გაძარცვის მიზნით ჩაცხრილეს ავტომატით, აფხაზმა ექიმმა კი ქართველი მეგობრის ხათრით გადაარჩინა დაჭრილი ქართველი. ასეთი ღალატის მაგალითები, სამწუხაროდ, ბევრია ისტორიაში.

ღალატის ფაქტები გაიხსენა აფხაზეთის ომის მონაწილე, დ. სიონის მკვიდრმა შოთა წიკლაურმა (დაბადებული 1953 წელს). ის იხსენებს მომენტს, როგორ შეიყვანა შეცდომაში მისი შენაერთი პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილმა, ქართულად მოსაუბრე პირმა. მან უთხრა ქართველებს, რომ მეთაურის ბრძანებით პოზიციები უნდა დაეტოვებინათ. ამ დეზინფორმაციის გამო მათ დატოვეს პოზიციები და რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ჯარისკაცებიც დაკარგეს. იგი მეორე ფაქტსაც იხსენებს, უკან დახევის მომენტში, როგორ გადააწყდნენ ქართველების ერთ-ერთ შენაერთს, რომლებიც ტყეში იმალებოდნენ. მათთან დაპირისპირება მოსვლიათ, რადგან იარაღის ჩაბარებას სთხოვდნენ. საბოლოოდ საქმე სროლამდე აღარ მივიდა, მშვიდობიანად დაშორდნენ. შემდეგ გაუგიათ, რომ ე. წ. „ზვიადისტები“ ყოფილან.

აფხაზეთის ომის ანტიგმირები არიან, ასევე, „მხედრიონელები“, რომელთა გამოჩენაც შიშის ზარს სცემდა ყველას, ქართველებსაც და აფხაზებსაც.

ასეთი ფაქტები კიდევ ერთხელ ამტკიცებს, როგორი ქაოსი, დაპირისპირება, არაორგანიზებულობა იყო ქართულ ჯარში. როგორ უპირისპირდებოდნენ, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ ქართველები ერთმანეთს. ყველანაირი უბედურების თავი და ბოლო არის ღალატი. როცა ღალატი იმარჯვებს, იქ ყველანაირ ბრძოლას აზრი ეკარგება. აფხაზეთის დაკარგვა სწორედ ღალატის შედეგია.

იმდროინდელი პრესა იუწყებოდა:

„ფაქტობრივად, საქართველომ დაიჩოქა. ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა. სამწუხაროა, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ გარეშე ძალთა ინტერესები ვერაფერს დაგვაკლებდა, რომ არა შინააშლილობა და თანამოქალაქეთა ღალატი. მე ჩემს თანამებრძოლებთან ერთად შეძრწუნებული ვარ მომხდარით. იცის ღმერთმა, ყველაფერს ვაკეთებდი ამ საშინელი დღის თავიდან ასაცილებლად. ვერ შევძელი. დაე, მაპატიონ თანამედროვეებმა და შთამომავლობამაც“ – საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.[4]

ისტორია ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. გმირებიც და ანტიგმირებიც ისტორიის ნაწილი არიან.

არ არსებობს საზოგადოება გმირების და ანტიგმირების გარეშე. ვინ არიან გმირები? გმირები, ერთი შეხედვით, უბრალო ადამიანები არიან. მათაც ჩვეულებრივად სტკივათ, განიცდიან, ეშინიათ კიდეც. გმირობა ის არის, გადააბიჯო ამ ყველაფერს და გააკეთო შენი საქმე. გმირებად ან ანტიგმირებად არ იბადებიან. შემდეგ ხდებიან. ამის მაგალითები ზემოთ გვაქვს მოყვანილი. ჩვენ ვამაყობთ, რომ ამ პატარა რაიონში გვყავს ეროვნული გმირი. ზურაბ იარაჯული ომამდე ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო. ჰქონდა თავისი ოცნებები, გატაცებები. როგორც კი მის ქვეყანას დასჭირდა, არც უფიქრია, ისე ჩადგა სამშობლოს სამსახურში. როდესაც ზურაბის თვითმფრინავი სუ-25 ჩამოაგდო მტერმა, მას შეეძლო გადაერჩინა თავისი სიცოცხლე და ტყვედ ჩაბარებოდა. ზურაბმა ღირსეული სიკვდილი არჩია უღირს სიცოცხლეს. გმირებს და ღირსეულ ადამიანებს მტერიც აფასებს და პატივს სცემს. ასე მოხდა ზურაბის შემთხვევაში. მას მტერმა მიაგო პატივი და ფარაჯაში გახვეული დაკრძალა, რათა ნადირს არ დაეზიანებინა

მისი ცხედარი. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ზურაბის მამამ შეძლო შვილის ნეშტის პოვნა და მშობლიურ სოფელში ღირსეულად დაკრძალვა.

საამაყოა, როცა უცხო მხარეში პატივს გცემენ იმის გამო, რომ შენი თანასოფლელი ღირსეული ადამიანი და გმირია. ეს, რა თქმა უნდა, დიდი მოტივაციაა ახალგაზრდებისთვის, რომ თვითონაც ღირსეული ადამიანები და თავისი დროის გმირები გახდნენ.

გმირები არამხოლოდ ჯარისკაცები არიან. გმირები ყველა სფეროში არსებობენ. გმირობაა იმ აფხაზი ექიმის საქციელი, რომელმაც თავისი მეგობრის პატივისცემის გამო, ოპერაცია გაუკეთა დაჭრილ თიანელ მებრძოლს და სიკვდილს გადაარჩინა. ასეთი ადამიანების არსებობა იმედს გვისახავს, რომ მალე დადგება დრო და შერიგდებიან აფხაზები და ქართველები. დაგვიბრუნდება დაკარგული ტერიტორიებიც და ისევ გამთლიანდება საქართველო.

უდავოა, რომ გმირებს დაფასება და აღიარება სჭირდება. ქართველები, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, გმირებს სიკვდილის შემდეგ ვაფასებთ. მიგვაჩნია, რომ გმირების მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ მომავალი თაობები. მეტი დაფასება და პოპულარიზაციაა საჭირო. სასკოლო სახელმძღვანელოებში მეტად უნდა გამახვილდეს ყურადღება გმირებზე, თუმცა არც ანტიგმირების დავიწყება შეიძლება. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, პარალელები გაავლონ გმირებსა და ანტიგმირებს შორის და თვითონ შეაფასონ მათი განვლილი გზა. უნდა არსებობდეს სახელმწიფო იდეოლოგია, როცა ქვეყნისთვის თავგანწირვა იქნება თითოეული ადამიანის გაცნობიერებული ღირსება, როდესაც იგი ბავშვობიდანვე იოცნებებს, ჰქონდეს შესაძლებლობა, სამშობლოსათვის იშრომოს, იბრძოლოს და, თუ დასჭირდა, თავიც გაწიროს.

პროექტზე მუშაობის დროს აღმოვაჩინეთ, რომ ეროვნული გმირის – ზურაბ იარაჯულის მემორიალის გარდა, ჩვენი გმირების სახელების უკვდავსაყოფად არ გვაქვს შესაფერისი მემორიალები, რათა ღირსეულად წარმოჩინდეს და დაფასდეს მათი გმირობა.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიიდან საბჭოური მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმძიმეს შედეგს და შავ ლაქას საქართველოს ისტორიაში, აფხაზეთის ომი წარმოადგენს. ახალგაზრდა, დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის ომის შედეგები უმძიმესი იყო. ქვეყანამ გაიღო უდიდესი მსხვერპლი, მიიღო დიდი ფსიქოლოგიური და ფინანსური ზიანი. ომმა და ომის შემდგომმა

შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია გააპარტახა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, იგი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე.

ასე, რომ საბჭოთა მემკვიდრეობა ჯერ არ დასრულებულა საქართველოში და არც დასრულდება, სანამ არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მომავალმა თაობებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დავასრულოთ საბჭოთა მემკვიდრეობა, დავიბრუნოთ აფხაზეთი, არა მხოლოდ როგორც ჩვენი ერთიანი ტერიტორიის ნაწილი, არამედ დავიბრუნოთ აფხაზი ხალხი – ჩვენი ძმები და დები. ჩვენ ერთმანეთი გვჭირდება და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ კვლავ ერთად დავდგეთ „იქ, სადაც ქარიშხალია.“ დაღუპულ მებრძოლთა სახელები და მათი საქმენი საგმირონი კი გვავალდებულებს ვიფიქროთ, რომ აფხაზეთს აუცილებლად დავიბრუნებთ.

შენიშვნები

1. სამხედრო ჟურნალი – „ვეტერანი“ 2019 – N4 გვ.22
2. „აფხაზეთის ცაში ატანილი სევდა“. გვ.3. ავტორები: თემურ და ლალი ცალუღელაშვილები. თიანეთი 1996წ.
3. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „რაჰათ-ლუხუმი“.
4. 1993 წელი, 28 სექტემბერი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამხედრო ჟურნალი – „ვეტერანი“ 2019- N4
2. „აფხაზეთის ცაში ატანილი სევდა“. ავტორები: თემურ და ლალი ცალუ-ღელაშვილები. თიანეთი 1996წ.
3. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „რაჰათ-ლუხუმი“
4. 1993 წელი, 28 სექტემბერი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა
5. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 2009 წლამდე - ავტო-რები დავით მუსხელიშვილი; მიხეილ სამსონაძე; ალექსანდრე დაუშვილი. გამომცემლობა „გუმბათი“. თბილისი 2012
6. https://www.youtube.com/watch?v=TOQk6Jvz0os&t=64s
7. https://www.youtube.com/watch?v=IhukkFoifd4
8. ჩვენს მიერ აღებული ინტერვიუები.

ეროვნული გმირის საფლავი

სტუმრად ენვერ ცალუღელაშვილთან

აფხაზეთის ომის ვეტერანები

ინტერვიუ აფხაზეთის ომის მონაწილეესთან

ზურაბ იარაჯულის კუთხე სკოლაში

ზურაბ იარაჯულის მემორიალთან

SPECIAL PRIZE FROM THE CAUCASUS UNIVERSITY AND GAHE

Liana Avetisyan and Alina Paloyan
Teacher: Eraniak Makaryan
Akhalkalaki #1 public school

The essay "Oh, how I want to return to the present through the past" by Liana Avetisyan and Alina Paloyan from Akhalkalaki #1 public school, under the supervision of Eraniak Makaryan was awarded from the Caucasus University and GAHE. School students researched three main questions regarding the military settlement in their hometown:

1) What role did the military settlement play in the life of the inhabitants of Akhalkalaki?
2) What problems did the existence of Soviet Russia bring to Akhalkalaki?
3. Does the connection with Russia still exist today?

As a result, they presented a very accurate history of the mentioned settlement. The authors also looked for explanations of the sentiments among the local population, interviewed different residents of Akhalkalaki and told us the story of the military settlement and its meaning for the people as well as the current situation around it.

ლიანა ავეჯისიანი, ალინა პალოიანი

მასწავლებელი: ერანიაკ მაკარიანი
ახალქალაქის #1 საშუალო სკოლა

ეჰ, როგორ მინდა წარსულის მეშვეობით აწმყოში დაბრუნება

სხვადასხვა ქვეყნის ძველი ისტორია მუდამ იპყრობს ჩვენს ყურადღებას თავისი მოვლენებით, დიდი ბრძოლებითა და ომებით. თანამედროვე ისტორიის შესახებ კი, სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცით. სიმართლე, შეიძლება, იპოვო ინტერნეტში, ქუჩაში, გაზეთებში და ყველაზე ფასეულ – იმ ადამიანთა მახსოვრობაში, რომლებიც ამ მოვლენების თვითმხილველნი იყვნენ.

ამ ნაშრომის მიზანი რეგიონის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და საიდუმლოებით მოცული „პატარა კუნძულის“ სააშკარაოზე გამოტანაა. ჩვენი პროექტი ასე დავასათაურეთ: „ეჰ, როგორ მინდა წარსულის მეშვეობით აწმყოში დაბრუნება“ და გვსურს, ადამიანთა მახსოვრობაში შემორჩენილი ქალაქის ბოლო 30 წლის ისტორია გაგაცნოთ და გარკვეულ შეკითხვებსაც ვუპასუხოთ, კერძოდ:

რა როლს ასრულებდა სამხედრო დასახლება ახალქალაქელთა ცხოვრებაში?

რა პრობლემები დაუტოვა საბჭოთა რუსეთმა ახალქალაქს?

დღესაც გრძელდება თუ არა კავშირი რუსეთთან?

რატომ ხიბლავდა სამხედრო დასახლება ახალქალაქელებს წინათ და რატომ უგულებელყოფენ ახლა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რამდენიმე გამოკითხვა ჩავატარეთ და საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული სტატიები შევისწავლეთ. თუმცა, მანამდე ამ დასახლების ისტორია გამოვიკვლიოთ და გავიგოთ, რას წარმოადგენს იგი.

147-ე მოტომსროლელთა დივიზია თავის ისტორიას იწყებს წითელი არმიის 51-ე გამაგრებული პოლკით, რომელიც საბრძოლო მოქმედებებში 1941 წლის 23 ნოემბრიდან 1942 წლის 9 დეკემბრამდე მონაწილეობდა. 1959 წელს 147-ე მოტომსროლელთა დივიზია ქალაქ ახლაქალაქში ამიე-

რკავკასიის სამხედრო ოლქის 31-ე არმიის შემადგენლობაში შევიდა. 1992 წლის 15 მაისის „კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ“ ხელშეკრულებით კი 147-ე მოტომსროლელთა დივიზიამ 62-ე სამხედრო ბაზის სტატუსი მიიღო, რომლის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა 2005 წელს დაიწყო.

აქ იყო მოტომსროლელთა, საარტილერიო, საზენიტო-სარაკეტო, საინჟინრო და სხვა ფორმირებები, ხოლო პერსონალის რაოდენობა 2000-ს აღემატებოდა. სამხედრო ბაზა 2007 წლამდე არსებობდა, ამის შემდეგ მისი ძირითადი ნაწილი მატარებლებით რუსეთში გადაიყვანეს, ნაწილი კი - სომხურ გიუმრში.

რუსული ბაზის გაყვანის ცნობამ მოსახლეობის ფართო წრეებში შეშფოთება გამოიწვია, რადგან ახალქალაქის ბევრი მოქალაქე ბაზაზე მუშაობდა მომსახურების ან განათლების სფეროში. უკმაყოფილო მაცხოვრებლების თქმით, როდესაც 2007 წელს ახალქალაქიდან ჯარების გაყვანა დაიწყო, ადგილობრივები აქტიურად მართავდნენ საპროტესტო გამოსვლებს და მსგავსი ქმედების აღკვეთას მოითხოვდნენ. საქმე სამხედრო ბაზის მთავარი კარიბჭის დაკეტვამდეც კი მივიდა. მოსახლეობის პროტესტის მიზეზი ცხადი იყო: ჯერ ერთი, მათ დაკარგეს გარანტირებული სამუშაო ადგილები, მეორეც, ეშინოდათ, რომ რუსული ჯარის გაყვანით მათი ეროვნული უფლებები დაირღვეოდა. ჯერ კიდევ 2005 წელს, როდესაც შედგა შეთანხმება ბაზის გაუქმების შესახებ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმების საკითხში დაეხმარება, კერძოდ კი, იმავე ადგილას ქართული სამხედრო ბაზის გახსნის გეგმა განიხილება.

თუმცა, სააკაშვილის დროს ეს ვერ მოხერხდა. ახალმა ხელისუფლებამ 2014 წელს დაიწყო ამ გეგმის განხორციელება. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ საბაზისო სამხედრო მომზადების ცენტრის ბაზაზე კაფსულაც კი დადო. იგი მოსახლეობას დაპირდა, რომ ეს ცენტრი ქალაქის მაცხოვრებლებისთვის სამუშაო ადგილებს, ხოლო სოფლის მობინადრეებისთვის ბაზარს შექმნიდა.

სამხედრო დასახლება ორი ნაწილისგან შედგებოდა – სამხედრო და სამოქალაქო. 128 ჰექტარზე 196 ნაგებობა იყო, მათ შორის, 7 შტაბის შენობა და 7 ყაზარმა, სამი სასადილო, ოფიცერთა სახლი, ჰოსპიტალი, სკოლა, მუსიკალური სკოლა, საბავშვო ბაღი, ორი კლუბი და ა.შ. სა-

მხედრო დასახლებაში დასაქმებულ ადამიანებს იქ ცხოვრება შეეძლოთ. მათთვის გამოყოფილი იყო სპეციალური ბინები, ინფრასტრუქტურა დაახლოებით 1500 კაცზე იყო გათვალისწინებული.

დასახლებაში შესასვლელად ქალაქის მხრიდან 180 მეტრიანი ხის ხიდი უნდა გაიარო. ეს ხიდი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელმა სამხედრო ტყვეებმა ააგეს. საკონტროლო პუნქტის მარცხნივ არის საცხოვრებელი სახლები, ჰოსპიტალი, სკოლა და საბავშვო ბაღი. სამხედრო დასახლებაში ყველაფერი ხელმისაწვდომი იყო: სასურსათო მაღაზია, წიგნის მაღაზია, თონე, რესტორანი.

ოფიცერთა სახლის ადგილას მართლმადიდებლური ეკლესია იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ოფიცერთა სახლის შენობაში ლოცვისთვის ოთახი გამოყვეს. იქ დღემდე ინახება ხატები. „იქ იკრიბებოდნენ ოფიცრები რაღაცის გასაკეთებლად ან სასწავლებლად, იმართებოდა კონცერტები“, – გვიამბობს ველიხან ათოიანი. ოფიცერთა სახლი რომ მეფისდროინდელი მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილას ააგეს, ამის შესახებ ირწმუნება სოციალური ქსელის ანონიმი მომხმარებელი. სტატიაში „საქართველო. ახალქალაქი-სამხედრო ქალაქი“ იგი წერს:

„...ოფიცერთა სახლის შენობის ადგილას.... ადრე რუსული ჯარის სამრევლო მართლმადიდებლური ეკლესია იყო“.

ოფიცერთა სახლი დღეს ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაშია.

სამხედრო ჯარის ნაწილში დღეს განთავსებულია ქართული არმია, რომლის გვერდით სამხედრო სასწავლებელი ფუნქციონირებს. იქ არასამხედრო პირის შესვლა დღეს სასტიკად აკრძალულია. დასახლების სამხედრო ნაწილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურისდიქციის ქვეშაა, ხოლო დასახლებული ნაწილი ადგილობრივ თემს გადაეცა.

დასახლების შიდა ცხოვრება მოწესრიგებულად, მშვიდად მიედინებოდა. იქ მუდამ სრულფასოვანი სისუფთავე და სილამაზე სუფევდა. სამხედრო პირები მუდამ იცავდნენ წესებსა და კანონებს. 63 წლის ივეტა მარტიროსიანი გვიამბობს, რომ „ქალაქში აბსოლუტური სისუფთავე იყო, ჯარისკაცები მიწაზე დაგდებულ მცირე ნაგავსაც კი არ აჩერებდნენ და მაშინვე ასუფთავებდნენ“. სადღესასწაულო დღეებში ყოველთვის მართავდნენ ღონისძიებებს. განსაკუთრებით უყვარდათ 8 მარტი, 23 თებერვალი, 9 მაისი. სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებელი სტატიაში „საქართველო. ახალქალაქი – სამხედრო დასახლება“ გადმოგვცემს: „გადამზადების კურ-

სები გავიარე ახალქალაქში... კლუბის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. 1981 წლიდან ვატარებდი დისკოთეკებს... სკოლის მოსწავლეებისა და მთელი გარნიზონისათვის (ორი დღე ზედიზედ), ხოლო ახალი წლის შემდეგ ბავშვებისთვის 4 ან 5 საახალწლო წვეულება გავმართე“.

ველიხან ათოიანი გვიამბობს:

„ვიკრიბებოდით და ყველა ერთად აღვნიშნავდით ახალ წელს, აღდგომას. ყველა დღესასწაულმა არაჩვეულებრივად ჩაიარა. სასიამოვნო დღეები იყო. ამ დროსთან დაკავშირებით ცუდი მოგონებები თითქმის არ მაქვს. ცხოვრება ძალიან მსუბუქად მიედინებოდა“. განსაკუთრებული პომპეზურობით 9 მაისი აღინიშნა. ყველა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს გამარჯვების აღლუმის მიმდინარეობას.

დასახლების შესახებ საუბრისას ყველა რესპონდენტი ერთხმად აღნიშნავს ქალაქის კეთილმოწყობას, კომფორტსა და განსაკუთრებულ ატმოსფეროს. დღესდღეობით კი ქალაქი ღარიბ და მივიწყებულ ადგილად არის ქცეული – დანაგვიანებული ქუჩები, ნახევრად დანგრეული შენობები – სკოლა, საბავშვო ბაღი, ჰოსპიტალი. თვითმხილველთა თქმით, ჰოსპიტლის კედლები ისეთი მყარია, რომ მათი დანგრევა შეუძლებელია. ამიტომ ჰოსპიტალის ყოფილი თანამშრომლები ცრემლიანი თვალებით უყურებდნენ შენობის დემონტაჟს. მეც ამ მოვლენების თვითმხილველი ვიყავი...

დასახლებაში იყო ერთი პატარა უბანი – შანჰაი. ასე რატომ ეწოდებოდა, არავინ იცის, თუმცა, მაცხოვრებელთა თქმით, იქ ყოველთვის უფრო ცუდი პირობები იყო, ვიდრე ქალაქის დანარჩენ საცხოვრებელ უბნებში, ეს ნაწილი მუდამ მჭიდროდ იყო დასახლებული. იქნებ სწორედ ამიტომაც ეწოდებოდა შანჰაი. მიუხედავად ნანგრევებისა, ზოგი იქ დღემდე აგრძელებს ცხოვრებას. ამჟამად მოსახლეობის ძალისხმევით აღადგენენ ნახევრად დანგრეულ შენობებს. ოფიცერთა საერთო საცხოვრებლის შენობასაც კი, სადაც არ არის წყალი, გაზი, კანალიზაციის სისტემა და ელექტროენერგია, ბინის მყიდველების მეშვეობით გაბერილ ფასად არემონტებენ.

30-წლიანი მახსოვრობის ძიებაში სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს შევხვდით. ზოგჯერ მათთან საუბარი სრულიად მოულოდნელი და საინტერესო მიმართულებით წარიმართებოდა ხოლმე.

ასე მოხდა მინაზარ ბებოს შემთხვევაშიც. იგი 80 წლისაა. თავისი ასაკისთვის ის აქტიური, სიცოცხლის მოყვარული და ენერგიული ქალია. დღემდე მზრუნველად ინახავს საბჭოთა პასპორტს და რუსულ პენსიასაც იღებს.

მისივე თქმით, იმ დროს, როდესაც იგი აქ ახალი ჩამოსული იყო, სულ ორი საცხოვრებელი სახლი იდგა, სამხედრო დასახლების შენობები კი სრულად იყო აშენებული. მინაზარ ბებომ 45 წელი იმუშავა სამხედრო ჰოსპიტლის თითქმის ყველა განყოფილებაში. ის სიხარულით ეხმარებოდა ყველას, ვისაც მისი პროფესიული დახმარება სჭირდებოდა: „ჰოსპიტალში „სათადარიგო საბურავს“ მეძახდნენ, ვმუშაობდი ყველგან – თერაპიაში, ინფექციურ განყოფილებაში, კარდიოლოგიაში... ვმუშაოდი საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ხოლო შემდეგ (2007 წ.) აღარავისთვის აღმოვჩნდი გამოსადეგი.“

მის ისტორიას ქვემოთ თითქმის უცვლელად წარმოგიდგენთ: „2007 წ. - არმიის წასვლის შემდეგ ქალაქი დაიშალა. ცუდი მოგონებები საერთოდ არ მაქვს. ახლა სევდიანად ვიხსენებ იმ დღეებს, როდესაც ახალგაზრდები ვიყავით და ყველაფერი გვაინტერესებდა. ახლა კი მოვხუცდით, ცხოვრება უინტერესო გახდა. აქ ბევრი სამუშაო ადგილი იყო. ადამიანები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობოდნენ, აფასებდნენ. სსრკ-ს შემადგენლობაში რომ ვყოფილიყავით, ახლაგაზრდებსაც და მოხუცებსაც სამუშაო ექნებოდათ. ხოლო ახლა თუ არ ფლობ სახელმწიფო ენას, მუშაობას ვერ შეძლებ. ეს ქალაქი ყველასთვის გზის გამკვლევი იყო, ყველას აქ უნდოდა მუშაობა. ქალაქის მოსახლეობის 50% ჰოსპიტალში მუშაობდა. სოფლიდან ბევრი „პრაპორშჩიკი“ იყო. თითოეული სოფლიდან აქ იყვნენ მუშები. 10-ზე მეტი მაღაზია იყო.

მაშინ რუსეთი მე ცხოვრების საშუალებას მაძლევდა. არ ვიცი, სხვებს როგორი ურთიერთობა აქვთ რუსეთთან. მე რუსეთთან დაკავშირებით მხოლოს კარგს ვხედავდი. იმ დროს 8 კაპიკად შემეძლო რუსეთში წასვლა და დაბრუნება. 1 კგ პური 28 კაპიკი ღირდა, ახლა კი ყველგან აძვირებენ.

... ქართველი მეზობლებიც მუშაობდნენ ჩემთან. მაშინ ჩვენ შორის ეროვნული განსხვავება არ იყო, ჩვენ ყველანი ერთი ეროვნების ვიყავით. ახლანდელი არმია არაფერს გვაძლევს, მათგან არანაირი ყურადღება არ არის.“

მინაზარ ბებოს ხმაში ტკივილიც ისმოდა და მონატრებაც. ზოგჯერ სასაცილო ისტორიებს გვიყვებოდა თავისი სამედიცინო პრაქტიკიდან. ნებსით თუ უნებლიეთ, აღტაცებული რჩები მრავალ გაჭირვებაგამოვლილი უფროსი თაობის სულის სიძლიერით.

რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიღებული პრობლემები

პროექტზე მუშაობისას ბევრი სასიამოვნო მოგონება მოვისმინეთ იმ შესანიშნავი პერიოდის შესახებ. თუმცა, ჩვენს გონებაში თანდათანობით მომწიფდა კითხვა: ნუთუ რუსული ჯარის გაყვანით პრობლემები არ დარჩა? და ეს პრობლემებიც, რა თქმა უნდა, ეტაპობრივად გამოვლინდა.

ჯერ ერთი, ქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის შესახებ ცნობამ ბევრი ადამიანის გულში შიში გააჩინა რეგიონის უსაფრთხოებისთვის. ისე გამოვიდა, თითქოს 200 წელი რუსეთი აქაური მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტი იყო. ბევრს ეშინოდა თურქების შემოჭრის, და ეს შემთხვევითი როდი იყო. ჩვენს რეგიონში ბევრ ადამიანს შესანიშავად ახსოვს პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ოსმალეთის თურქეთის მიერ ჩადენილი სისასტიკის დროს მათი პაპებისა და ბებიების ისტორიები, ამიტომაც მათ შიშს ღრმა ემოციური საფუძველი აქვს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელმაც თავისი სახელის გაჟღერება არ ისურვა, ამ შიშის შესახებ ისაუბრა. საქართველო იმ დროს არასტაბილური ქვეყანა იყო, ახალი გამოსული იყო რუსეთის ხანგრძლივი გავლენისგან. რა თქმა უნდა, ამიტომაც იყო უნდობლობა, თუმცა, ამდენი წლის შემდეგ შიში გაქრა.

რასაკვირველია, ბევრი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალა ცდილობდა, მოსახლეობის უკმაყოფილება თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა. თუმცა, ამ სტატიაში ამის შესახებ საუბარს არ განვავრცობთ.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა მოსახლეობის კეთილდღეობის საკითხია. როგორც არაერთხელ აღინიშნა ინტერვიუებში, ბევრი მათგანი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე სამხედრო ბაზაზე. ბევრი ახალქალაქელი კაცი, ისევე, როგორც ახლომდებარე სოფლებიდან, კონტრაქტით შევიდა სამხედრო სამსახურში. საგრძნობი რაოდენობა მუშაობდა სკოლაში, საბავშვო ბაღში, ჰოსპიტალში, მაღაზიებში, თონეებში და ა.შ. ხელფასები ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალაქის სახელმწიფო დაწესებულებებში. შესაბამისად, ადამიანთა გულსა და გონებაში არა მხოლოდ ფიზიკური ზეწოლის შიში ბატონობდა, არამედ სამსახურისა და საარსებო წყაროს გარეშე დარჩენის შიშიც. შეიცვალა ჩვეულებრივი ცხოვრების წესი. არსებული სირთულეები ხშირად ოჯახური კონფლიქტების მიზეზიც გახდა. გაზეთ Gnews-ის რედაქტორის თქმით, ყოფილი დასახლე-

ბის სამხედრო ნაწილში ამჟამად ქართული ჯარია, მის მიმდებარედ კი სამხედრო მოსამზადებელი ცენტრი ფუნქციონირებს, სადაც სამხედროში გაწვევის ასაკის მქონე ახალგაზრდა ბიჭები სწავლობენ სახელმწიფო ენას და გადიან სამხედრო მომზადებას. ჩვენთვის ცნობილია, რომ ქართულის მასწავლებლად მუშაობენ ჩვენი სკოლის საუკეთესო მასწავლებლები – დალი აღდგომელაძე და ეკა თათეშვილი.

დალი აღდგომელაძის თქმით, ქართულ არმიაში ადგილობრივებიდან 5-6 კაცი მუშაობს, მაქსიმუმ 10 ადამიანი, მათ შორის – პედაგოგები. გასაგებია, რომ რუსულ სამხედრო ნაწილში მომუშავე მოქალაქეების დასაქმების საკითხი გადაუჭრელი დარჩა.

კიდევ ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს განათლების საკითხი. 62-ე სამხედრო ბაზის ჩამოყალიბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ სამხედრო დასახლებაში 15 სკოლა გაიხსნა რუსი ოფიცრების შვილებისათვის. ახალქალაქის სკოლებიდან ბევრი მოსწავლე იქ გადავიდა. იმ სკოლაში სწავლობდა ერთ-ერთი ჩვენი რესპონდენტის, ემა თარლამაზიანის ბიჭი. ემა 13 წელი მუშაობდა სამხედრო ბაზის საბავშვო ბაღში აღმზრდელად. მას, ისევე როგორც ყველა დანარჩენ რესპონდენტს, თბილი მოგონებები აქვს იმ პერიოდის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ შვილის სამხედრო სკოლაში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება იმან განაპირობა, რომ იქ სწავლის დონე უფრო მაღალი იყო. „ქალაქის სკოლაში განუწყვეტლივ რაღაცას ცვლიდნენ, ძველი საბჭოთა სახელმძღვანელოებით აღარ ასწავლიდნენ, ახლები კი არ იყო. გარდა ამისა, მაღალმა რუსულმა ხელფასებმა და ცხოვრების სტაბილურობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა შვილის მომავლის საკითხის გადაწყვეტაში. მართალია, მან სკოლა ქალაქის სკოლაში დაამთავრა, მაგრამ არჩევანი უკვე გაკეთებული იყო.“ – ამბობს ემა.

ბევრმა აპლიკანტმა თავისი მომავალი უკვე რუსეთს დაუკავშირა. ისინი ჩაირიცხნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ან ე.წ. სომხეთის სლავურ უნივერსიტეტში, როგორც ემას შვილი. ასე მოხდა ნიჭიერი ახალგაზრდების გადინება, რომლებსაც შეეძლოთ არა რუსეთის, არამედ თავიანთი სამშობლოს – საქართველოს – სამსახურში ყოფილიყვნენ. რუსული ჯარების გაყვანის შემდეგ ბევრმა დატოვა მშობლიური ადგილები. მათ მიიღეს ბინები რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, დარჩნენ და იქ ცხოვრობენ, ამავდროულად ინარჩუნებენ კავშირს ახლობლებთან. დღეს ახალქალაქში ბევრი ცხოვრობს რუსეთში მცხოვრები ნათესავებისაგან მიღებული

ფულადი გზავნილებით. რა თქმა უნდა, რუსეთიდან ფულს აგზავნიან არა მხოლოდ მიგრანტები, არამედ ე.წ. „სეზონური მეუღლეები“ – საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რუსეთში სამუშაოდ მიდიან.

სტატიაში „საქართველოს ცივი სამხრეთი“, რომელიც project.jam-news.net ინტერნეტგაზეთის გვერდზე გამოქვეყნდა, წარმოდგენილია სტატისტიკა სხვადასხვა ქვეყნიდან ფულადი გზავნილების შესახებ. ფულადი გზავნილების საერთო რაოდენობით რუსეთი პირველ ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონი ეკონომიკურად რუსულ რუბლზეა დამოკიდებული.

„საქართველოს ფულად გზავნილებში რუსეთის წილი მოწინავეა. მაგალითად, 2022 წლის იანვარში საზღვარგარეთიდან 169 მლნ დოლარი შემოვიდა (12,7 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წლის იმავე პერიოდში). 2021 წლის ზაფხულში რუსეთიდან ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 37-40 მლნ დოლარი.“ – ნათქვამია ზემოხსენებულ სტატიაში.

„პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი ვარ. სასწავლებელი როსტოვში დავამთავრე, დავბრუნდი მშობლიურ სოფელში და მუშაობა დავიწყე მასწავლებლად. გარკვეული დრო ვიმუშავე ფერმაში, შემდეგ კი ქვის კარიერზე. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა. აქ ყველაფერი გაჩერდა, ყველა საწარმო დაიხურა. მხოლოდ ბაზა მუშაობდა. სამუშაო აღარ იყო. შვილები მყავდა, ოჯახი უნდა მერჩინა. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ რა უნდა მექნა. პირველად 1996 წელს წავედი და მას შემდეგ ამ გზით უზრუნველვყოფ ჩემს ოჯახს,“ – გვიამბობს 60 წლის გარეგინი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ დირექტორი არნოლდ სტეფანიანი დიდ საფრთხეს ხედავს სეზონურ მიგრაციაში, რადგან ადამიანებს „ფულის გარდა რუსული მენტალიტეტი მოაქვთ. რუსეთში ძლიერია კონსერვატიული ღირებულებები, ადამიანი იქიდან ხდება ამ ღირებულებათა მატარებელი და ფაქტიურად ის ხდება ამ სახელმწიფოს მოკავშირე. საქართველო კი სხვაგვარად უნდა განვითარდეს“, - ნათქვამია იმავე სტატიაში.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მოსწავლეები ვართ, მსგავსი მიდგომა ჩვენთვისაც ნაცნობია. გვსურს, რომ ღია ვიყოთ მსოფლიოსთვის და ჩვენი მომავალი მხოლოდ რუსეთს არ დავუკავშიროთ. სამწუხაროდ, უფროსი თაობა მიჩვეულია სტერეოტიპულ აზროვნებას. იმისათვის, რომ ჩვენი რეგიონის ცნობიერება შეიცვალოს, საჭიროა წლები და ევროპულ ქვეყნებთან თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილება. ძალიან გვიხარია,

რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე ჩვენს რეგიონში სხვადასხვა ღონისძიებები გატარდა მოსახლეობის სახელმწიფო ცხოვრებაში ინტეგრაციისა და დემოკრატიული ღირებულებების დანერგვის მიზნით. მაგალითად, არსებობს ქართული ენის სწავლების უფასო კურსები მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ტარდება წვრთნები მეწარმეობის განვითარებისათვის, ასევე, სხვადასხვა სახის ტრენინგები. მაღალი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ FLEX-ში, Erasmus+-ში, GIPA MEDIA LAB-სა და სხვა პროგრამებში. რუსულ და საბჭოთა პერიოდში ამ პროგრამების შესახებ აქ არავინ არაფერი იცოდა. თუმცა, ძალიან სამწუხაროა, რომ ამის მიუხედავად, რუსეთი კვლავაც აგრძელებს ჩვენს მოხიბვლას „როსსოტრუდნიჩესტვოს“ უფასო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით, რომლის დახმარებითაც ბევრი ახალგაზრდა, რომელსაც ფინანსური პრობლემები აქვს, თავისი ოცნებების ასასრულებლად მიდის და უფასო განათლებას იღებს რუსეთის საუკეთესო უნივერსიტეტებში, შემდეგ კი იქ რჩება ცხოვრობისა და მუშაობის მიზნით. ამგვარად, უწყვეტი ხდება რუსეთზე ინტელექტუალური და ფინანსური დამოკიდებულება.

ჩვენი აზრით, ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე მტკივნეულ საკითხად საცხოვრებლის პრობლემა რჩება. შევეცადეთ, გაგვერკვია, როგორ შეიძლება მივიღოთ ბინა დასახლებაში. ადრე მისი მიღება შეიძლებოდა სხვადასხვა გზით: ა) წამსვლელებისაგან ყიდვა, ბ) ბინების ხელში ჩაგდება და შემდეგ უკვე საბუთებების მოწესრიგება, გ) მუნიციპალიტეტიდან მიღება ყოფილ დასახლებაში ბინების განაწილების საკითხის აღმასრულებელი კომისიის მიერ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ დასახლების მაცხოვრებლები. ოფიციალური წყაროებიდან კი ირკვევა, რომ სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის შემდეგ მისი საცხოვრებელი ფონდი ადგილობრივ მუნიციპალიტეტს გადაეცა, რომელმაც ყოფილ დასახლებაში ბინების განაწილების კომისია შექმნა.

2007 წელს დასახლებაში, უმეტესად, დასახლდნენ ახალგაზრდა წყვილები, რომლებიც უძრავი ქონების დაბალმა ფასმა მოხიბლა. მხოლოდ ყიდვის შემდეგ მიხვდნენ, თუ რამდენად ცუდ მდგომარეობაში იყო მათი სახლები. ყველაფერს საფუძვლიანად შეკეთება სჭირდებოდა. ამ ინფორმაციას, როგორც იტყვიან, პირველი პირიდან ვფლობთ, რადგან თავად ვიყავით თვითმხილველნი, თუ როგორ შეაკეთეს ჩვენმა მშობლებმა ჩვენი ბინები. ყველა ვერ ახერხებდა ბინის შენარჩუნებას, რადგან სამხედრო ხე-

ლისუფლება ხშირად გასცემდა საცხოვრებლის უფლების ყალბ ორდერს. jnews.ge „სადავო ბინა ყოფილ სამხედრო დასახლებაში“.

შიშისა და რისკის მიუხედავად, რეგიონის მცხოვრებთა ოცნება დასახლებაში ცხოვრება იყო. მათთვის დასახლების ბინები შესანიშნავი ვარიანტი გახლდათ, რადგან ქალაქში სახლები ძალიან ძვირი იყო და თავიანთი შესაძლებლობები მათ ამ ბინების ყიდვის საშუალებას არ აძლევდა.

შესაძლოა, დღევანდელი ქალაქი ადრინდელის მსგავსი არ არის. რა თქმა უნდა, ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ბევრი უპირატესობაც გააჩნია. დასახლების ყველა ყოფილი მაცხოვრებელი ერთხმად ამტკიცებს, რომ ყველაფრის უკან დაბრუნება სურთ, მაგრამ ჩვენ, ახალი თაობის წარმომადგენლები, ამ საკითხს სხვა კუთხით ვუყურებთ. ჯარის გაყვანის შემდეგ ახალი შესაძლებლობები გაჩნდა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ბინა ესაჭიროებათ. რუსული ჯარი რომ არ წასულიყო, იქნებ სოფლებში დავრჩენილიყავით.

გვინდა დასკვნის სახით ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქ განლაგებულ სამხედრო ნაწილებს, უბრალოდ, სახელი გადაერქვა. 62-ე რუსული სამხედრო ბაზის მიზნები და ამოცანები იგივე რჩებოდა, ანუ ის, რომ ემსახუროს რუსეთის ინტერესებს.

დასახლების ყოფამ და ცხოვრების წესმა ღრმა კვალი დატოვა ადამიანების გულებსა და მოგონებებში. დასახლებაში ცხოვრებით აღფრთოვანება განპირობებული იყო არა იმით, რომ იქ ყველა უპრობლემოდ ცხოვრობდა, არამედ იმით, რომ ქალაქში ცხოვრება გაცილებით რთული იყო იმ მძიმე წლებში, ამიტომ „გოროდოკის“ ცხოვრება მიმზიდველი ჩანდა როგორც ბავშვებისთვის, ისე ახალგაზრდებისა და უფროსებისთვის.

მართალია, ახლა ჩვენი ქალაქი უფრო ლამაზი, სუფთა და კეთილმოწყობილია, ვიდრე სამხედრო დასახლება, მაგრამ სოციალური კეთილდღეობის დონე ადრინდელზე ბევრად დაბალია.

სახელმწიფო ძალებს არ იშურებს სომეხი მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, მაგრამ საკითხი ვერ გადაწყდა იმ მიზეზით, რომ ჩვენი რეგიონის ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე ჯერ კიდევ გრძელდება.

მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს 30, 20-წლიანმა წარსულის მოვლენებმა და რეალობამ დღევანდელ ცხოვრებაზე. ენობრივი ბარიერი ჩვენ წინაშე ხურავს არა მხოლოდ ქართული

საზოგადოების, არამედ შესაძლებლობების დიდი სამყაროს კარებს. ჩვენს მშობლებს მემკვიდრეობით გადაეცათ მრავალი პრობლემა საბჭოთა პერიოდის არაკეთილსინდისიერი ბიუროკრატიისგან გაყალბებული დოკუმენტების სახით.

ნაშრომის სათაური „ეჰ, როგორ გვინდა წარსულის მეშვეობით აწმყოში დაბრუნება“ ერთგვარი ნოსტალგიაა დაკარგული კეთილდღეობის, სილამაზისა და სიცოცხლის ხალისის მიმართ. ნოსტალგია პატარა, კარგად მოვლილი, კულტურულად განვითარებული ასფალტიანი და საქანელებიანი კუთხის მიმართ დიდხანს დარჩება უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენელთა მეხსიერებაში. ჩვენ უფლება არ გვაქვს მათი გრძნობები და მოგონებები უგულებელვყოთ. მაგრამ ჩვენ, როგორც ახალი იდეების მატარებლებსა და მეგზურებს, რომლებსაც სულში არა გვაქვს წარსულთან რაიმე ნოსტალგიური კავშირი, გვინდა, რომ ჩვენი დასახლება გახდეს ქალაქის ნაწილი, ჩვენი ქალაქი კი, რომელიც აგებს და ქმნის თავის საკუთარ ისტორიას, ქვეყნის ნაწილი გახდეს. იმედი გვაქვს, დადგება დღე, როცა ქართული არმია კიდევ უფრო გაძლიერდება, სამხედრო დასახლების ტრადიციები აღდგება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადალახავს ენობრივ ბარიერს და სამუშაოს მოიპოვებს ქართულ არმიაში. ადამიანები კი კვლავ უდარდელად და ბედნიერად იცხოვრებენ.

დაბოლოს, გვინდა დავწეროთ ა. ვარუმის ცნობილი სიმღერის შეცვლილი სიტყვები:

Ах, как хочется вернуться,
Ах, как хочется ворваться в городок,
Где все чисто и знакомо,
Ну хотя бы, на денек.
Где зарплаты выше крыши
И открыты наши души,
Где все люди благодушны
И везде живет Любовь.

ყოფილი ოფიცერთა სახლი

ადგილი, სადაც ადრე დასახლების წიგნის მაღაზია იყო.

აბრა ქალაქის შესასვლელთან „უფროსი სერჟანტის, ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრია ВСТ“.

დასახლების მაღაზია, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს

დასახლების საკონტროლო გამშვები პუნქტი (КПП)


Federal Foreign Office

vhs
DVV International

Körber
Stiftung

EUSTORY

SOVLAB
SOVIET PAST RESEARCH LABORATORY

Georgian Association of History Educators

CIVIL
SOCIETY
COOPERATION

CAUCASUS UNIVERSITY